www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 17 დეკემბერი, 2013 წელი. | №3430 (237) | ფასი 50 თეთრი

„სტიქია ყველა ქვეყანაში ხდება"

საქართველოში სტიქიის შედეგების საფუძვლიანად აღმოფხვრა ჭერჭერობით ვერ ხერხდება

უამინდობის გამო საქართველოს გზებზე შეზღუდვები ისევ მოქმედებს. გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა-გუდაურის(ფოსტა) და კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია, ხოლო გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ვალდებულებებით და ვალებით დამძიმებული 2014 წელი

მიმდინარე კვირას საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. შესაბამისად, უკვე დაზუსტებით შეიძლება საუბარი იმ მოლოდინზე, რაც საქართველოს ხელისუფლებას მომავალი წლის მიმართ გააჩნია და იმ ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმასაც ამ წელს გეგმავს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საფინანსო რესურსი 9 მილიარდ 105 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 356.5 მლნ ლარითაა გაზრდილი.

ოპტიმისტური დაგეგმვის საფრთხეები

ეს იმ ფონზე ხდება, როცა უკვე ცნობილია, რომ 2013 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი 81 პროცენტს შეადგენს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ევროკავშირში უკრაინას ისევ ეპატიჟებიან

იანუკოვიჩი კი მოსკოვთან არკვევს ურთიერთობებს

ივა შილაკაძე

კიევში და უკრაინის სხვა ქალაქებში ევროინტეგრაციის მოთხოვნით მასობრივი გამოსვლები ისევ გრძელდება. ინციდენტები ბოლო დღეებში არ მომხდარა. ხელისუფლებამ კუნთების თამაშის პოლიტიკაზე უარი თქვა, თუმცა „ევრომაიდანთან" ახლოს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მომხრეებმაც დაიწყეს უვადო აქცია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ზურაბ ჯაფარიძე: „ვალით საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსება სწორი პოლიტიკა არ არის"

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე, რომელიც პარლამენტში 2014 წლის ბიუჯეტის მიღებას „ნაციონალური მოძრაობის" მიერ გამოცხადებული პროტესტის გამო არ დასწრებია, მომავალი წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტს აკრიტიკებს.

ჟურნალისტებთან საუბარში ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი არაერთხელ გააკრიტიკა. ჯაფარიძის შეფასებით, ბიუჯეტის მთავარ პრობლემა ძალიან დიდი მოცულობის ვალია, რომლის აღებასაც სახელმწიფო აპირებს. **„მიგვაჩნია, რომ მთავრობა, რომელმაც ერთ წელიწადში ბიუჯეტში არსებული მილიარდიანი უსაფრთხოების ბალიში გახარჯა, ეკონომიკაში, დაახლოებით, 1.5 მილიარდი ლარი დაგვაკარგვინა, 2013 წლის ბიუჯეტი მილიარდამდე ლარით გაერღვა და მომავალ წელს 2 მილიარდამდე ახალი ვალის აღებას აპირებს, ჩვენს ნდობას არ იმსახურებს,"** - ამბობს ზურაბ ჯაფარიძე.

პარლამენტარის შეფასებით, მთავრობა, რომელმაც ეკონომიკური ზრდა 3-ჯერ შეამცირა, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები შეაჩერა და წინა მთავრობასთან შედარებით გაცილებით ნაკლებს მუშაობს, ხელფასებს 137 მილიონი ლარით არ უნდა იზრდიდეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ლიგა მერვედფინალებში დაწყვილდა, ევროპის ლიგა - მეთექვსმეტედფინალებში

გიგა გურასაშვილი

ევროპის საფეხბურთო სამყაროს ყურადღება გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონისა და უეფას შტაბბინისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალებისა და ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალებისა და მერვედფინალების კენჭისყრა შედგა, მაგრამ სანამ წყვილებს გავეცნობოდეთ, უეფას მიერ გუშინვე დასახელებულ ჩემპიონთა ლიგის დასრულებული ჯგუფური ეტაპის საუკეთესო კლუბსა და ფეხბურთელზე ვთქვათ.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

შიდს-ის აქტივიზმის გახსენება: ყოველ ავდაათ წუთში ერთი კვდება

გვ. 5

„სტიქია ყველა ქვეყანაში ხდება"

პირველი გვერდიდან

გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტი ზვავდამცავი გვირაბების გავლით იმოძრავებს. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსები გვირაბებში ცალმხრივად იმოძრავებს.

რაც შეეხება უშუქოდ დარჩენილ მოსახლეობას, „ენერგო პრო-ჯორჯიას" გენერალურ დირექტორ ნიკოლაი ნიკოლოვის განცხადებით, აჭარის რეგიონში ელექტრომომარაგების კუთხით შექმნილი პრობლემა, სავარაუდოდ, 10 დღის განმავლობაში აღმოიფხვრება.

მისი თქმით, აჭარაში რთული მდგომარეობაა და ზემო აჭარისთვის დენის მისაწოდებლად საჭირო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

„აჭარაში რთული მდგომარეობა გვაქვს, რაც ჩვენთვის მტკივნეული თემაა. ჩვენს თანამშრომლებს აჭარაში მსგავსი სიტუაცია 1985 წლიდან არ ახსოვთ. ავარიები გამოწვეულია იმით, რომ დიდთოვლობაა და გარკვეულ ადგილებში გზა მიუვალია. მობილიზებული გვყავს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ბრიგადები და ისინი გადაყვანილია დაზიანების ადგილებში. სამუშაოების საწარმოებლად დამატებითი ბრიგადებიც დავიქირავეთ. აჭარაში გვაქვს შტაბი და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინირებულად ვმუშაობთ, ასევე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ენერგეტიკის სამინისტროსთან და მას ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას სისტემატურად ვაწვდით," - განაცხადა ნიკოლაი ნიკოლოვმა.

მისივე განმარტებით, აჭარის რეგიონში 300-მდე ელექტროგადამცემი ანძაა დაზიანებული.

„ჩვენ უკვე შევიძინეთ ახალი ანძები, რომლებიც ელექტრომომარაგების მიწოდების აღსადგენად არის საჭირო. მათი ატანა ზოგიერთ ადგილებში ჭირს, ვინაიდან დიდთოვლობის გამო ტრანსპორტი ვერ მიდის, მაგრამ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ადამიანური რესურსებით ვცდილობთ," - განაცხადა ნიკოლოვმა.

კომპანიის ინფორმაციით, ამჟამად აღდგენილია ყველა მაღალი ძაბვის 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, ასევე აღდგა 35-კილოვოლტიანი ხაზების უმრავლესობაც. რაც შეხება დანარჩენ ხარვეზებს, „ენერგო პრო ჯოჯრიაში" აცხადებენ, რომ მათზე მუშაობა ამ წუთებშიც მიმდინარეობს. ხულოს, ქედას და შუახევის რაიონებს ელექტროენერგია კვლავ არ მიეწოდება.

საქართველოს ზოგიერთ რაიონში უშუქობას და ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე ბათუმისთვის ელექტრონერგიის გრაფიკით მიწოდებას ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძე იმით ხსნის, რომ **„ქართულ ენერგეტიკას არსებობის მანძილზე ასეთი დიდი დარტყმა არ მიუღია."**

კახა კალაძემ ქვეყნის ელექტომომარაგებაში გაჩენილი პრობლემების შესახებ პრემიერთან გამართულ საგანგებო თათბირზე ისაუბრა, რომელსაც, კალაძესთან ერთად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მისი პირველი მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნულ თათბირზე განაცხადა, შეიქმნა კრიზისების მართვის დროებითი შტაბი, რათა ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს ოპერატიული და დროული რეაგირება მოჰყვეს. უახლოეს მომავალში კი საქართველოში ამოქმედდება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო და კრიზისების მართვის ერთიანი მაკოორდინირებელი ცენტრი, რაშიც აქტიურ დახმარებას ამერიკელი, ბრიტანელი და ებრაელი პარტნიორები გაგვიწევენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კრიზისების მართვის შტაბის შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ქვეყანაში სტიქიით გამოწვეულ პრობლემებზე ოპერატიულ რეაგირებას ასახელებს და აქვე განმარტავს, რომ სტიქია ყველა ქვეყანაში ხდება და მისი თავიდან აცილება მთავრობის შესაძლებლობებს აღემატება.

„სტიქია ყველა ქვეყანაში ხდება. ეს გარდაუვალია, ამის პრევენცია და თავიდან აცილება შეუძლებელია. ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. შესაბამისად, მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას მომხდარზე ადეკვატურ რეაგირებაზე," - განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის განმარტებით, საქართველოში ე.წ. კრიზისების მართვის ცენტრი დღემდე არ არსებობს, თუმცა მთავრობა მსგავსი ცენტრის შექმნაზე უკვე მუშაობს.

„კერძოდ, შეიქმნება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო და კრიზისების მართვის ცენტრი. ამაში აქტიურად გვეხმარებიან ჩვენი ამერიკელი, ბრიტანელი და ებრაელი პარტნიორები. იმედი მაქვს, თვის ბოლოს საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნება ერთიანი მაკოორდინირებელი კრიზისების მართვის ცენტრი. იქამდე მსურდა, ოპერატიული თათბირი ჩამეტარებინა, შევქმენით დროებითი შტაბი, რათა არსებულ გამოწვევებს ოპერატიულად ვუპასუხოთ და საქართველოში სტიქიით გამოწვეული ყველა პრობლემა დროულად და მყისიერად მოვაგვაროთ," - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, აჭარაში მსგავსი დიდთოვლობა ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა.

„ასეთი დიდი თოვლი 1985 წელს მოვიდა, მას შემდეგ ასეთი დიდთოვლობა არავის ახსოვს. დაზიანდა ძალიან ბევრი ელექტროგადამცემი ხაზი, ანძა, აღდგენითი სამუშაოები ოპერატიულად დაიწყო და, დაახლოებით, 10-12 დღეში დასრულდება. ასევე, ჩემი დავალებით, ადგილზე სიტუაციის გარკვევის მიზნით იმყოფებოდნენ რეგონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები, მინისტრის მოადგილე, ენერგეტიკის მინისტრი პირადად ესწრებოდა აღდგენით სამუშაოებს. მინდა, მედიასაშუალებებს მივმართო თხოვნით, მაქსიმალურად ობიექტურად გააშუქონ ინფორმაცია, რომელიც მთავრობის პრესსამსახურიდან მომდინარეობს და მოსახლეობა შეცდომაში არ შეიყვანონ. სტიქია ყველა ქვეყანაში ხდება, ეს გარდაუვალია, ამის პრევენცია და თავიდან აცილება შეუძლებელია, ეს ჩვენს შესაძებლობებს აღემატება. შესაბამისად, მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას მომხდარზე ადეკვატურ რეაგირებაზე," - აღნიშნა პრემიერმა.

ენერგეტიკის მინისტრმა კი განმარტა, რომ დიდთოვლობის გამო ხულოში, შუახევსა და ქედაში აღდგენითი სამუშაოების წარმოება ვერ ხერხდება.

„აჭარას ელექტროენერგიის მიწოდების სამი ალტერნატიული წყარო აქვს, სამივე დაზიანებული იყო - კერძოდ, რამდენიმე ადგილზე იყო გაწყვეტილი. ჩვენ, თქვენი დავალებით, მაშინვე დავიწყეთ აღდგენითი სამუშაოები. დღევანდელი მდგომარეობით, ორი 220-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი „პალიასტომი 1" და „პალიასტომი 2" აღდგენილია სრულყოფილად. პირველ რიგში, აღვადგინეთ თურქეთიდან შემომავალი ხაზი და 40 მეგავატს ვიღებდით თურქეთიდან, რისთვისაც მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თურქეთის ხელისუფლებას და ჩემს კოლეგას. ამის გამო მოგვიწია ბათუმის გრაფიკში ჩასმა, მაგრამ დღეს ბათუმს და მის გარშემო მდებარე სოფლებს ელექტროენერგია სრულყოფილად მიეწოდება. პრობლემები რჩება მხოლოდ ქედაში, ხულოსა და შუახევში, სადაც დიდთოვლობისა და ადგილზე მიუსვლელობის გამო ვერ ხერხდება აღდგენითი სამუშაოების წარმოება. ჯგუფები მობილიზებულია, ტექნიკა მობილიზებულია, 8 ანძის აღსადგენად საჭირო მასალა მზად არის," - განაცხადა კალაძემ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანის თქმით, კრიზისების მართვის ცენტრის უმთავრესი დანიშნულება ფორსმაჟორული სიტუაციების დროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის მეტი კოორდინაცია იქნება.

კრიზისების მართვის ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

„სტიქია ჩვენს ხელთ არ არის, თუმცა სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია ნამდვილად არის მთავრობის პრერეგატივა," - განაცხადა შალვა ფიფიამ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე კი გუშინ ბათუმში ჩავიდა, სადაც კრიზისების მართვის დროებითი შტაბის პირველი სხდომა გამართა.

„პრემიერ-მინისტრის დავალებით ჩამოვედი აჭარის რეგიონში, ქალაქ ბათუმში, სადაც შექმნილია საგანგებო შტაბი. ამ შტაბში, ჩემი ხელმძღვანელობით, თათბირი გაიმართა. აჭარის რეგიონში სტიქიით მიყენებული ზიანი და ასევე სხვადასხვა საკითხები განვიხილეთ. შეიქმნა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც გაიწმინდება გზები, რათა სოფლებში გადაადგილება გამარტივდეს. ამ დღეების განმავლობაში შეევცდებით, მაქსიმალურად მოვაგვაროთ ყველა ის პრობლემა, რაც აჭარის რეგიონს სტიქიამ შეუქმნა," - განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

პროკურატურა - ალექსანდრე ნინუას მოწმის სახით დაკითხვა FBI-მ მოითხოვა

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მთავარმა პროკურატურამ გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ალექსანდრე ნინუას მოწმის სახით დაკითხვა აშშ-ს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) მოითხოვა.

„პროკურატურა ასაჯაროვებს ფაქტს, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 19 ოქტომბერს და 2013 წლის 2 ივლისს შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობები სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

როგორც შუამდგომლობებიდან გახდა ცნობილი, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი და გამოძიების ფედერალური ბიურო აწარმოებდნენ გამოძიებას. აღნიშნული საქმისთვის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) მოითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეული საპროცესო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც მოიცავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ალექსანდრე ნინუას მოწმის სახით დაკითხვას.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეასრულა გამოძიების ფედერალური ბიუროს ზემოაღნიშნული თხოვნა, კერძოდ, ჩატარდა მოთხოვნილი საპროცესო მოქმედებები და მათ შორის, 2013 წლის 30 ივლისს მოწმის სახით დაიკითხა ალექსანდრე ნინუა. დაკითხვას, ქართულ მხარესთან ერთად, ესწრებოდა გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელი," -აღნიშნულია განცხადებაში.

პროკურატურა განმარტავს, რომ მათი მხრიდან ალექსანდრე ნინუას უფლებები არ შეზღუდვია და მას თავისუფლად გადაადგილების უფლება გააჩნდა.

„2013 წლის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა ა. ნინუას მიერ საზღვრის გადაკვეთის ფაქტი, კერძოდ, მან ხუთჯერ დატოვა საქართველოს ტერიტორია. პროკურატურა ასევე კატეგორიულად უარყოფს ალექსანდრე ნინუაზე ზეწოლის ნებისმიერ ფაქტს. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისას ა. ნინუას დეტალურად განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები, რაც დასტურდება მისივე ხელმოწერით.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ალექსანდრე ნინუა პროკურატურამ ორჯერ გამოიძახა: იგი მოწმის სახით დაიკითხა 2013 წლის 26 სექტემბერსა და 19 ოქტომბერს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დიდი ოდენობით თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ფაქტს. ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2012 წლის 1 აგვისტოს," - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ალექსანდრე ნინუას ადვოკატ მამუკა მდინარაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაკითხვაზე, პროკურატურის გარდა, სხვა საგამოძიებო ორგანოებშიც იბარებდნენ.

„FBI-ის მოთხოვნით დაკითხეს თუ ნებისმიერი სხვა ორგანოსი, ამის შესახებ დეტალურად არც ვფლობ ინფორმაციას და ვერც უარვყოფ. შეიძლება, ასეც იყო. მაგრამ, გარდა პროკურატურისა, მას სხვა საგამოძიებო ორგანოებშიც იბარებდნენ. ალექსანდრე ნინუას გადაწყვეტილება მასზე ზეწოლის გამო კი არ მიუღია, მან გადაწყვეტილება მიიღო თავისი თანამშრომლების პერმანენტული დაბარების და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის შემდეგ," - განაცხადა ადვოკატმა „ტაბულასთან" საუბარში.

ცნობისათვის - თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ალექსანდრე ნინუა იარაღის უკანონო შენახვა-შეძენა-ტარების ბრალდებით დაიკავეს. პროკურატურამ 14 დეკემბერს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა, აღნიშნული შუამდგომლობა დაცვის მხარემ არ შეცვალა, შესაბამისად, სასამართლომ ბრალდების მოთხოვნა დააკმაყოფილა. ადვოკატ მამუკა მდინარაძის თქმით, ბრალდებულმა თავად მოახდინა დაპატიმრების პროვოცირება.

„ალესანდრე ნინუამ თავად მოახდინა დაპატიმრების პროვოცირება. როგორც პროცესზე მან განაცხადა, ყოველ დილას იმაზე ფიქრით იწყებდა, დღეს შესყიდვების დეპარტამენტის რომელ თანამშრომელს დაკითხავდნენ ან დააპატიმრებდნენ. ერთი წლის განმავლობაში ეს მისთვის დიდი მორალური სტრესი იყო და დაკავების პროვოცირება მოახდინა იმის დასამტკიცებლად, რომ ციხის არ ეშინია. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ნინუამ პატრულს თავი დააჭერინა," - განაცხადა ადვოკატმა.

მისივე განმარტებით, ნინუა ბრალს ეთანხმება.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თავად მივიდა პატრულთან, განზრახ გადმოაგდო ქამრიდან იარაღი, რომელიც, ბუნებრივია, პატრულმა დაინახა და, შესაბამისად, რეაგირება მოახდინა," - განმარტა მამუკა მდინარაძემ.

ბრალდებულ ალექსანდრე ნინუას თქმით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჯერ მას კითხავდნენ და აიძულებდნენ, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება, შემდეგ კი შესყიდვების დეპარტამენტის რიგით თანამშრომლებს იბარებდნენ და თავად ნინუას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. ნინუას განმარტებით, იგი გასული წლის მანძილზე მოწმედ ათამდე საქმეზე დაიბარეს.

„შეიძლება, გაჩნდეს კითხვა - რაღა სასამართლო და რაღა მაკაროვი, მედიას დაკავშირებოდი. მე რომ ეს ასე მექნა და ჩვეულებრივად პრესკონფერენცია მომეწვია, ამას მოჰყვებოდა პასუხი, რომ ამ კაცს თავისი მეგობრები კი არ ადარდებს, არამედ ეშინია, რომ ციხეში არ წავიდეს. იმის დასამტკიცებლად, თქვენო ღირსებავ, რომ მე ციხის არ მეშინია, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ეს არის ციხე. კატეგორიულად ვუკრძალავ ჩემს ყველა ახლობელს გირაოს შეტანას. ციხეში დავრჩები მანამდე, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ყველა ჩემი თანამშრომელი იმ კონკრეტული ბრალდებისგან, რომელსაც ასე უსაფუძვლოდ უყენებენ, გათავისუფლებულია. აი, ასე აღმოჩნდა ჩემი მაკაროვი პატრულის წინ რუსთაველის პროსპექტზე," - მიმართა ნინუამ მოსამართლეს.

გარდა ამისა, 14 დეკემბერსვე ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა ალექსანდრე ნინუას დაპატიმრებამდე გადაღებული ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, რომელშიც ყოფილი მაღალჩინოსანი პროკურატურის ზეწოლაზე საუბრობს.

„მას შემდეგ, რაც ჩატარდა არჩევნები, შეიცვალა მთავრობა, ბუნებრივია, ჩემი ყოფილი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეკითხვები ექნებოდათ და ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავდი ვერც მაშინ და ვერც დღეს. როდესაც მიბარებდნენ, არც ერთ დაკითხვაზე არ დამიგვიანია. ყველაგან მივდიოდი ამ ერთი წლის განმავლობაში. ამას მოჰყვა ის, რომ ჩემი მოადგილეების დაბარება დაიწყეს, დაიწყეს დეპარტამენტში მყოფი სამმართველოების უფროსების დაბარება, გაიშალა თემა, ჩავიდა მეორჯერ ვიყავი წასული ქვეყნიდან - ერთხელ ერთი კვირით, ერთხელ 3 დღით და დავბრუნდი. მე კარგი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს ჩემს თანამშრომლებთან, მორალურად აუტანლად მიმაჩნია ის, თუ როგორ იჩაგრება ამდენი ხალხი, როგორ წუხს ამდენი ოჯახი ჩემ გამო. მიმაჩნია, რომ რაღაც ნაბიჯი უნდა გადავდგა და დავეხმარო მათ. ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ძალიან ძნელია, მე გადავწყვიტე ამ ხალხის დახმარება. ეტყობა, შეუძლებელია ვიღაცისთვის ყოველდღიურად იმის ყურება, რომ თვითონ რომ ყვირის, თურმე მე ჯარი გავძარცვე, მე ამ დროს თბილისში ვარ, არ ვიმალები, არ გავრბივარ, არსად წავსულვარ, ყოველდღე დავდივარ დაკითხვაზე და მისი ეს ნაყვირები უფრო და უფრო უფასურდება. მე ჩემი მეგობრების წინაშე ვალდებულად მივიჩნევ თავს, რომ წავიდე ციხეში, ოღონდ არა იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩამიდენია, არამედ იმისთვის, რაც ჩამიდენია. თუ ამ ჩანაწერს ვინმე უყურებს, ესე იგი, ციხეში ვარ, რამდენიმე წუთის წინ 2013 წლის 12 დეკემბერი დაიწყო," - ამბობს ნინუა ჩანაწერში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ზურაბ ჯაფარიძე: „ვალით საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსება სწორი პოლიტიკა არ არის"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ აფრთხილებდა, რომ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში პრობლემები, როგორც ეკონომიკაში, ასევე ბიუჯეტში თავს იჩენდა.

ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" საკუთარ ვებგვერდზე, სპეციალური ვებაპლიკაციის გამოყენებით, ე.წ. თაიმლაინი მოამზადა, სადაც ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკის და ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრთა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებებია წარმოდგენილი. **„ამ განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ ხელისუფლებას ჯერ კიდევ იანვარში ვაფრთხილებდით. ივლისამდე, მთელი 9 თვე, დაწყებული შარშან ნოემბრიდან, ხელისუფლება ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს უარყოფდა და გვიმტკიცებდა, რომ ეკონომიკური ზრდა წელს შესაძლოა, 6 პროცენტზე მეტიც ყოფილიყო, ხოლო ბიუჯეტში პრობლემები არ იქნებოდა,"** - ამბობს ჯაფარიძე, - **„პროგნოზები, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა" აკეთებდა, გამართლდა. სამწუხაროდ, 9 თვე დასჭირდა ამ ხელისუფლებას იმის გასაცნობიერებლად, რომ ეკონომიკა ჩერდებოდა."**

„ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას კიდევ ერთხელ აფრთხილებს, რომ ეკონომიკის შენელებისას დიდი ვალის აღება და ამ ვალით საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსება სწორი პოლიტიკა არ არის - ამით ეკონომიკაში არსებული პრობლემები მხოლოდ დროში გაიწელება და ამავდროულად, უფრო გაღრმავდება.

ზურაბ ჯაფარიძე ხელისუფლებას რამდენიმე ღონისძიების გატარებისკენ მოუწოდებს. **„სწორი გზაა გადასახადების შემცირება, მთავრობის ხარჯების შემცირება და ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაცია. სხვა შემთხვევაში, ჩვენ წინ იმაზე უარესი წლები გველის, ვიდრე წლევანდელია,"** - აღნიშნა ჯაფარიძემ.

საპარლამენტო უმცირესობას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური პასუხობს: **„"ნაციონალურ მოძრაობამ" თავის თავს, თავის დანგრეულ ქვეყანას და თავის ვალებს მიხედოს. 500 მილიონი აშშ დოლარი სრულიად უტვინოდ აიღეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თანხა რომ ჩამოიტანეს, შემდეგ კითხულობდნენ, ეს ფული სად დავხარჯოთო,"** - თქვა ნოდარ ხადურმა.

საკუთარი ინფორმაცია

EPRC Economic Policy Research Center ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ვალდებულებებით და ვალებით დამძიმებული 2014 წელი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუ გავითვალისწინებთ, რომ დეკემბერში შესაძლებელია, 600 მლნ ლარამდე იქნეს მობილიზებული, წლიური გეგმიური მაჩვენებელი, დაახლოებით, 700 მლნ ლარით მაინც შეუსრულებელი დარჩება.

მომავალი წლის ბიუჯეტში გადასახდელების დაფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს, ბუნებრივია, ისევ გადასახადებიდან მისაღები სახსრები წარმოადგენს, რაც 2014 წლისათვის 6 820,0 მლნ ლარითაა განსაზღვრული. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს (6 920,0 მლნ ლარი) 100 მლნ ლარით ჩამორჩება, რაც, ბუნებრივია, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების შესრულების მაჩვენებელებიდან გამომდინარეობს. თუმცა არსებული დაგეგმვა მაინც ოპტიმისტურია, კერძოდ:

შემოსავლების პროგნოზს საფუძვლად უდევს ეკონომიკური ზრდის 5-პროცენტიანი, წლიური ინფლაციის 3.5-პროცენტიანი პარამეტრი. 2013 წელს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1.9 პროცენტი შეადგინა. თუმცა, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას ისეთივე ოპტიმისტური მიდგომა გამოიყენა, როგორც 2013 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას.

აღნიშნული პარამეტრების შესრულების შესაძლებლობაც შესაძლოა, სათუო გახდეს. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2013 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ კვლევებში მუდმივად მიანიშნებდა, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფერხებას ორი მთავარი მიზეზი აქვს: დაძაბული შიდა პოლიტიკური მდგომარეობა და ბიზნესისთვის ბუნდოვანი სურათი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით. აღსანიშნავია, რომ 2014 წლისთვის დაძაბული პოლიტიკური ფონი შერბილებულია, რაც განაპირობა როგორც შიდა პოლიტიკურ ურთიერთობებში სიტუაციის შედარებით დამშვიდებამ, ისე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებამ, რამაც ახალი ხელისუფლების პირობებში ქვეყნის პოლიტიკური ვექტორი ნათელი გახადა. ბუნებრივია, აღნიშნული საკმაოდ სერიოზული სიგნალია როგორც შიდა ბიზნეს წრეებისთვის, ასევე საერთაშორისო საინვესტიციო პარტნიორებისათვის. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესზე ძალოვანი სტრუქტურების გავლენა მოხსნილია და ბიზნესგარემო გაცილებით კონკურენტული გახდა, კვლავ ბუნდოვანია სახელმწიფოს ხედვა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას, რაც ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებისას ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ თუ სახელმწიფომ ამ მიმართულების გამოსწორებაზეც არ იზრუნა და ნათელი ეკონომიკური ხედვა არ ჩამოაყალიბა, ეს ფაქტორი ეკონომიკური ზრდის საქმეში 2014 წელსაც ისეთივე შემაფერხებელი გახდება, როგორიც 2013 წელს იყო.

2013 წლის საგადასახადო შეღავათი და მისი შედეგები

ალბათ ყველას, განსაკუთრებით კი 500 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანების კარგად ახსოვთ, რომ წლის დასაწყისში ახალმა ხელისუფლებამ ახალი საგადასახადო შეღავათის შესახებ გვამცნო: საგადასახადო კოდექსით დადგინდა, რომ ყველა ის პირი, ვისი წლიური შემოსავალიც 6000 ლარს არ გადააჭარბებდა, თავის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის უკან დაბრუნებას შეძლებდა. როგორც 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, გადამხდელებისთვის 2014 წელს 180 მლნ ლარის უკან დაბრუნებაა გათვალისწინებული, რაც, შესაბამისად, 2014 წლის ბიუჯეტის საფინანსო რესურსს 180 მლნ ლარით ამცირებს. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ექსპერტები მუდმივად მიუთითებდნენ, რომ საბიუჯეტო პოლიტიკა უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული სოციალურად დაუცველებზე. კერძოდ, ასეთი საყოველთაო შეღავათების შემოღებაზე ეფექტური იქნებოდა აღნიშნული 180 მლნ ლარის გაწერა გადასახდელებში სოციალურად დაუცველი კონკრეტული ჯგუფისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გასაწევად.

საგარეო ვალი და 2014 წლის ბიუჯეტი

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღსანიშნავია საგარეო ვალების მდგომარეობის საკითხებიც. კერძოდ, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველაზე მაღალი მოცულობის - 1,6 მლრდ ლარის ოდენობით საკრედიტო რესურსის მოზიდვას, საიდანაც 600 მლნ სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით მიღებული სახსრებია, ხოლო 1,2 მლრდ ლარი - საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მიერ გამოსაყოფი საკრედიტო რესურსი.

თუ ბოლო წლების დინამიკას გადავხედავთ, ნათელია, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში მთლიანი სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ იკლებდა, თუ არ ჩავთვლით 2009-2010 წლებს, როდესაც ეს მაჩვენებელი ერთბაშად 31 პროცენტიდან 42 პროცენტამდე გაიზარდა. ეს ის თანხაა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს აგვისტოს ომის შედეგებისა და მსოფლიო კრიზისის ტალღის დასაძლევად გამოუყო.

2014 წლიდან ვალის მაჩვენებელი კვლავ იმატებს და 2013 წელს დაგეგმილი 33,2 პროცენტიდან, 2014 წლისთვის 35,2 პროცენტს მიაღწევს. სკეპტიკოსების აზრით, ამ პარამეტრის გაუარესება ერთმნიშვნელოვნად ცუდია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ვალის აღება სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად, რაც განვითარებას შეუწყობს ხელს, შესაძლოა, გამართლებული გამოსავალი იყოს. მით უმეტეს, თუ ეკონომიკის აქტივობა საკმაოდ შენელებულია და სახელმწიფომ გარკვეული მიმართულებების გააქტიურება ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, თუ რა მიზეზების გამო მოიზიდება ამ მოცულობის სესხები, რა ვითარებაში და რა მიზნობრიობით.

საკრედიტო რესურსით ეკონომიკის სტიმულირების მექანიზმი 2009-2010 წლებში იქნა გამოყენებული და მაშინ ეს გარეგანი ფაქტორით - რუსეთის აგრესიით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. 2014 წელს ასეთი მექანიზმის გამოყენება შინაგანი ფაქტორებით - კერძოდ, ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით და ეკონომიკურ პოლიტიკაში ბიზნესისთვის არსებული ბუნდოვანებით განპირობებული ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების გამო ხდება.

საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრები თავისი შინაარსით ორ ჯგუფად იყოფოდა: საინვესტიციო კრედიტები და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები. საინვესტიციო კრედიტიების მოზიდვის ფაქტი უაღრესად დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ის მოკლევადიან პერიოდში ქვეყნისთვის აუცილებელი ინფრატსტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

თუმცა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საბიუჯეტო კრედიტების და სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით 1,036.0 მლნ ლარის მოზიდვაა დაგეგმილი (600 მლნ ლარი - სახაზინო ვალდებულებების გამოშვებიდან, 436 მლნ ლარი - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან), რაც, მისი მიზნობრიობიდან გამომდინარე, პოზიტიურად არ უნდა ჩაითვალოს.

ამ მაჩვენებლით სახელმწიფო ბიუჯეტის უკვე 11 პროცენტი დაიფარება ასეთი ტიპის რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ბიუჯეტი სოციალური ვალდებულებებით საკმაოდ დატვირთულია და არაპირდაპირ გამოდის, რომ აღებული კრედიტებითა და გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით ფინანსდება ბიუჯეტის სოციალური ვალდებულებები, რომლებიც ბიუჯეტის მუდმივ და ამავდორულად მზარდ ხარჯებს წარმოადგენენ. აუცილებელია, რომ სოციალური ვალდებულებების დაფინანსება უზრუნველყოფილ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადებით და არა კრედიტებით.

არაპირდაპირი სუბსიდირება

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ასევე აღნიშნულია, რომ მიღებული 600 მლნ ლარიდან 200 მლნ ლარს მთავრობა ისევ კომერციულ ბანკებში განათავსებს დეპოზიტების სახით, რაც მათთვის საკრედიტო რესურსი იქნება. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს არაპირდაპირ იაფი სესხების სუბსიდირების პროგრამას. შესაბამისად, საჭიროა უფრო ნათელი სქემა, თუ რა მიმართულებებით გაიცემა სესხები და როგორი პირობებით, რათა სესხების გაცემისას სხვადასხვა საკრედიტო რისკები აცილებულ იქნეს.

ორიენტირი სოციალურ ხარჯებზე

2014 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 9.1 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 331.5 მლნ ლარით აღემატება 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ბიუჯეტის ზრდა კვლავ სოციალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას მოიცავს, რაც ნათლად მიანიშნებს, რომ ბიუჯეტი დატვირთულია სოციალური ვალდებულებებით. მნიშვნელოვნად მცირდება დაფინანსების ოდენობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდისთვის. აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს, რომ ბიუჯეტში მიმართულებები ინფრასტრუქტურული პროექტებიდან მიმდინარე, სოციალურ ვალდებულებებზე ინაცვლებს, რაც ეკონომიკური მიმართულებების სტიმულირების კუთხით პოზიტივის მომტანი არ არის და ეფექტური ფისკალური პოლიტიკის გასატარებლად სახელმწიფო ბიუჯეტის მოქნილობას საგრძნობლად ამცირებს, მით უმეტეს, რომ გაზრდილი სოციალური ვალდებულებები საკრედიტო რესურსის ხარჯზე იფარება.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: ლაშა ნაცვლიშვილი ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას მთხოვდა

ჯანდაცვის ყოფილმა მინიტრმა და კახეთის ყოფილმა გუბერნატორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ პრესკონფერენეცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ მისი და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ პოლიტიკური ნიშნით შეკერილი სისხლის სამართლის საქმე წინა კვირაში ქუთაისში გამართულ სასამართლო სხდომაზე პრაქტიკულად დაირღვა.

ჭიაბერაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენეციაზე პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი მოწმის რამაზ სულამანიძის ჩვენებაც გაიხსენა, რომელშიც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა" ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტი იყო და მისი განხორციელებით არც პირადი სარგებელი მიუღია და არც დანაშაული ჩაუდენია.

ამის შესახებ სულამანიძემ „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის" საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

ამასთან, ჭიაბერაშვილის განმარტებით, სულამანაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილება პროკურატურამ მას შემდეგ გამოიტანა, რაც მას ლაშა ნაცვლიშვილი ესაუბრა და უთხრა, რომ უწყებას არც მისი და არც ჭიაბერაშვილის დაჭერა არ სურდა და დაადასტურა, რომ ამ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმის სამიზნე იმთავითვე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი იყო.

„ნაცვლიშვილმა სწორედ სულამანიძის პირით შემომითვალა, რომ თუ მე პროკურატურას ვანო მერაბიშვილის საწინააღმდეგოდ ჩვენებას მივცემდი, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებას პროკურატურა ჩემ მიმართაც გამოიტანადა," - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, მისთვის და მერაბიშვილისთვის წარდგენილი ბრალდებებიდან სულამანიძემ სასამართლო პროცესზე არც ერთი არ დაადასტურა და აღნიშნა, რომ ხელმძღვანელებისგან არავითარი უკანონო დავალება არ მიუღია.

ირაკლი ღარიბაშვილი ილჰამ ალიევს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გუშინ ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პირისპირ შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენცია „ზაგულბაში" გაიმართა.

მხარეებმა ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე ისაუბრეს და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა აზერბაიჯანთან პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღმავების სურვილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში აზერბაიჯანის ხელისუფლების მყარი მხარდამჭერისთვის ილჰამ ალიევს მადლობა გადაუხადა.

მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში რეფორმირების პროგრამაზე მუშაობს

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის ნიუ-იორკის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში რეფორმირების პროგრამაზე მუშაობს.

ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინულ ტელეკომპანია „112 უკრაინასთან" ინტერვიუში განაცხადა. ამით მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, რას აკეთებს ნიუ-იორკში და რატომ არ იმყოფება საქართველოში.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე უნივერსიტეტისთვის ვმუშაობ პროგრამაზე ჩვენი ქვეყნების რეფორმირების შესახებ. თავის დროზე მე დავამთავრე კოლუმბიის უნივერსიტეტი, ვცხოვრობდი ნიუ-იორკში. თბილისის და კიევის შემდეგ, ნიუ-იორკი არის ჩემთვის ყველაზე ახლობელი და მშობლიური ქალაქი. მაქვს ძალიან კარგი და სერიოზული წინადადება წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტისგან. როდესაც ამ პროგრამაზე მუშაობას დავასრულებ, რა თქმა უნდა, დავბრუნდები საქართველოში და ჩავერთვები პროცესებში," - განაცხადა სააკაშვილმა.

ავსტრალიამ ავღანეთში საკუთარი სამხედრო ბაზა დახურა

ავსტრალიის ხელისუფლების განცხადებით, ავსტრალიამ ავღანეთში თავისი მთავარი სამხედრო ბაზა დახურა და ქვეყნიდან სამხედრო ნაწილი გაიყვანა. ავსტრალიელი სამხედროები 2005 წლიდან იყვნენ დისლოცირებული ტარინ კოტის ბაზაზე, რომელიც ურუზგანის პროვინციაში მდებარეობს. საერთოდ ქვეყანამ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტი - 15 000 ჯარისკაცი - 2001 წელს გაგზავნა. გასული 12 წლის განმავლობაში ავღანეთში 40 ავსტრალიელი სამხედრო დაიღუპა და 261 დაშავდა. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ავღანეთი საბრძოლო დანაყოფებმა დატოვეს, თუმცა 400 ავსტრალიელი სამხედრო ქვეყანაში მრჩეველის რანგში დარჩება.

სირიის არმიის ვერტმფრენების იერიშს 36 ადამიანი შეეწირა

„როიტერის“ ცნობით, კვირას ალეპოში ქვეყნის არმიის ვერტმფრენებიდან განხორციელებულ იერიშს, სულ მცირე, 36 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვებიც. სადამკვირვებლო ჯგუფების ინფორმაციით, დაღუპულებს შორის 15 ბავშვია. სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ძალები მეამბოხეების წინააღმდეგ საჰაერო იერიშებს ხშირად მიმართავენ. ასადის ძალების მხარდამხარ ამ დროისთვის „ჰეზბოლას“ შეირაღებული მებრძოლებიც იბრძვიან. ცნობისათვის - ქვეყანაში 2011 წლის მარტში დაწყებულ დაპირისპირებას, გაეროს მონაცემებით, 110 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო სნოუდენის შეწყალებას არ გამორიცხავს

ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენელმა რიჩარდ ლეჯეტმა განაცხადა, რომ ორგანიზაცია ამერიკული სადაზვერვო სამსახურების ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენის შეწყალების საკითხს განიხილავს. ლეჯეტის თქმით, ეს შესაძლებელია, თუ სნოუდენი საიდუმლო ინფორმაციის გავრცელებას შეწყვეტს. „სი-ბი-ეს“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ლეჯეტმა განაცხადა, რომ სნოუდენის შეწყალება გამორიცხული არ არის. თუმცა, სააგენტოს ამჟამინდელი დირექტორი კიტ ალექსანდერი ამას კატეგორიულად გამორიცხავს. სნოუდენს, რომელმაც ამერიკის დაზვერვის სამსახურების საქმიანობის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გამომჟღავნება ზაფხულში დაიწყო და ახლაც აგრძელებს, აგვისტოში დროებითი თავშესაფარი რუსეთმა მიანიჭა.

ევროკავშირი და თურქეთი მიგრაციის ხელშეკრულებას გააფორმებენ

„EUobserver“-ის ცნობით, ორშაბათს ანკარაში ევროკავშირის კომისარი სესილია მალმსტრომი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ დავუთოღლუ ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომელიც თურქეთს ავალდებულებს, ის დეპორტირებული მიგრანტები მიიღოს, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე თურქეთის გავლით შედიან. სანაცვლოდ კი თურქეთის მოქალაქეები სამი წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლას შეძლებენ.

ერაყში აფქეთებებს 17 ადამიანი ემსხვერპლა

ორშაბათს ერაყში მომხდარ რამდენიმე აფეთქებას, სულ მცირე, 17 ადამიანი ემსხვერპლა. პოლიციის განცხადებითი, ბაიჯიში, რომელიც დედაქალაქ ბაღდადიდან 180 კმ-ში მდებარეობს, ოთხმა თვითმკვლელმა ტერორისტმა პოლიციის შენობის წინ აიფეთქა თავი.

მოამზადა თამთა კახაძემ

მიშელ ბაჩელეტი ჩილეს პრეზიდენტი მეორედ გახდა

ივა შილაკაძე

ჩილეში კვირას, 15 დეკემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა, გუშინ კი უკვე ხმების დათვლის შედეგები გამოქვეყნდა - გაიმარჯვა მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის კანდიდატმა, ექს-პრეზიდენტმა მიშელ ბაჩელეტმა. მიშელ ბაჩელეტს პრეზიდენტის თანამდებობა 2006-2010 წლებში ეკავა. ჩილეს კონსტიტუციით, ამ პოსტის ორჯერ ზედიზედ დაკავება არ შეიძლება, თუმცა ექს-პრეზიდენტებს უფლება აქვთ, პაუზის შემდეგ კვლავ იყარონ კენჭი. მიშელ ბაჩელეტი 8 წლის წინ ჩილეს ისტორიაში პირველი პრეზიდენტი ქალი გახდა. წელს ის პირველი პოლიტიკოსი გახდა, რომელმაც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტი მეორედ დაიკავა.

ხმების 98 პროცენტის დათვლის შემდეგ ბაჩელეტს 62,2 პროცენტი ჰქონდა, ხოლო მის მეტოქეს, მმართველი კონსერვატიული კოალიციის „ალიანსი ჩილესთვის“ წარმომადგენელს, შრომის ყოფილ მინისტრ ეველინ მატეის - 37,79 პროცენტი. მატეიმ დამარცხება უკვე აღიარა. ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა სებასტან პინიერამ ასევე ტელეფონით დაურეკა მიშელ ბაჩელეტს და არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. მისი გამარჯვება ქვეყნის მართვის სადავეებთან გაერთიანებული მემარცხენე კოალიციის „ახალი უმრავლესობის“ დაბრუნებას ნიშნავს.

არჩევნებზე ხალხის დასწრება საკმაოდ დაბალი იყო. წელს პირველად საარჩევნო უბნებთან მისვლა ნებაყოფლობითი იყო და მოსახლეობის, დაახლოებით, 40-მა პროცენტმა სახლში დარჩენა ისურვა, როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში. ბაჩელეტმა პირველი ტურიც დიდი უპირატესობით მოიგო და, სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, წინასწარ ნათელი იყო, რომ პრობლემები არც მეორე ტურში ექნებოდა.

62 წლის მიშელ ბაჩელეტი სოციალისტების, ქრისტიან-დემოკრატებისა და კომუნისტების კოალიციას უდგას სათავეში. თავისი წინასაარჩევნო კამპანია მან მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების შემცირების თემაზე ააგო. ჩილე ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, თუმცა ბოლო პერიოდში იქ საპროტესტო მოძრაობა ძლიერდება. ხალხი შემოსავლების უფრო სამართლიან გადანაწილებას და განათლების ხელმისაწვდომობას მოითხოვს. მიშელ ბაჩელეტის პროგრამა კორპორაციებისა და მოსახლეობის მდიდარი ფენებისთვის გადასახადების გაზრდას ითვალისწინებს. კანდიდატს სურს, ბიუჯეტში შესული სახსრების საფუძველზე განათლება უფასო გახადოს. ამას გარდა, ის პოლიტიკურ და ეკონომიკური სფეროებში რეფორმების გატარებას აპირებს, რადგან იქ ბევრი რამ ჯერ კიდევ პინოჩეტის 17-წლიანი მმართველობის (1973-1990 წლები) პერიოდიდან ხელუხლებელია. თუმცა ამას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა დასჭირდება. მიმომხილველების შეფასებით, მიშელ ბაჩელეტის ეს ახალი პროგრამა ბევრად რადიკალურია, ვიდრე წინა საპრეზიდენტო მმართველობის პროგრამა. მიშელ ბაჩელეტი წინადადებას აყენებს, დაუშვან აბორტები, როდესაც სამედიცინო თვალსაზრისით ამის საჭიროებაა და აპირებს, ერთსქესიანი ქორწინების თემაზე საზოგადოებაში ღია დისკუსია დაიწყოს. მისი აწ უკვე ყოფილი მეტოქე, კონსერვატორი ეველინ მატეი აბორტებისა და ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგია. საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ - განათლების საკითხზე კი მხარს უჭერდა უმაღლესი სასწავლებლების სუბსიდირების არსებული სისტემის შენარჩუნებას და არა უფასო უმაღლეს განათლების შემოღებას.

მიშელ ბაჩელეტიც და ეველინ მატეიც გენერლების ქალიშვილები არიან. ბავშვობაში ისინი მეგობრობდნენ, როდესაც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ იმ ავიაბაზაზე, სადაც მათი მამები მსახურობდნენ. ოჯახების პოლიტიკური მომავალი 1973 წლის გადატრიალების დროს გაიყო. მიშელ ბაჩელეტის მამა - ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალი ალბერტო ბაჩელეტი, რომელიც ჩაგდებული პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ბანაკში მოიაზრებოდა, პუტჩის პირველივე დღეს დააპატიმრეს. ის ციხეში გარდაიცვალა. ეველინ მატეის მამა - შემდგომში ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური ფერნანდო მატეი კი პინოჩეტის ხუნტის წევრი იყო, თუმცა გადატრიალებაში მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ ის ბრიტანეთში მსახურობდა სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე.

ევროკავშირში უკრაინას ისევ ეპატიჟებიან

პირველი გვერდიდან

გუშინ ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა ჩატარდა, რომელზეც აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა და უკრაინის საკითხი კვლავ განიხილეს. დღეს კი მოსკოვში იმართება რუსეთ-უკრაინის სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომა და პრეზიდენტების შეხვედრაც, რომელზეც შეიძლება, ბევრი რამ გადაწყდეს. ევროინტეგრაციის მომხრეებს ხელისუფლების მხრიდან მორიგი ღალატისა მაინც ეშინიათ, მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო კავშირთან მიერთების საკითხი ოფიციალურ დღის წესრიგში არ დგას.

პროევროპული კურსის მომხრეებმა შაბათს და კვირას კიევის ცენტრი ისევ გაავსეს. სხვადასხვა შეფასებებით, დამოუკიდებლობის მოედანზე რამდენიმე ათეული ათასიდან რამდენიმე ასეულ ათასამდე ადამიანი იდგა. კვირას ისევ გაიმართა „სახალხო ვეჩე“. შემდეგი სახალხო კრება კი უკვე დღეისთვის, 17 დეკემბრისთვის დაინიშნა მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებზე „ოპერატიული რეაგირებისთვის“.

შაბათს „ევრომაიდანზე“ მიღებული რეზოლუციით ხალხმა პრეზიდენტ იანუკოვიჩს რუსეთთან საიდუმლო გარიგება და საბაჟო კავშირში შესვლის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა აუკრძალა. ხალხი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ერს ევროპული მომავალი წაართვას (ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით გადაუვადოს). ამას გარდა, რეზოლუციის თანახმად, ხალხი მოითხოვს პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, იულია ტიმოშენკოს ჩათვლით. შაბათ-კვირის მიტინგებზე თვალშისაცემი იყო დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან აშკარად გამოხატული მხარდაჭერა, რის გამოც რუსეთი გაღიზიანებას ვერ მალავს. ნარინჯისფერი რევოლუციის პერიოდისგან განსხვავებით, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო რუსი პოლიტიკოსები (ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია) უკრაინის შიდა პროცესებში უშუალოდ ვერ ერევიან. ამიტომ ბუნებრივია მათი რეაქცია დასავლეთის აქტიურობის გამო. ბოლო დღეებში დამოუკიდებლობის მოედანზე კარავი დადგეს პოლონეთის სეიმის დეპუტატებმა. კიევში ჩავიდნენ, მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდნენ და იანუკოვიჩსაც შეხვდნენ ამერიკელი სენატორები: რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი და დემოკრატი კრის მერფი. ორივემ ღიად და აქტიურად დაუჭირა მხარი მოედანზე შეკრებილებს და უკრაინის პროევროპულ კურსს. მაკკეინი თავისი თანმიმდევრული, პირდაპირი და რადიკალური პოზიციის გამო მომიტინგეებმა განსაკუთრებით თბილად მიიღეს. შემდეგ სენატორები პრეზიდენტ იანუკოვიჩს შეხვდნენ. მას კიდევ ერთხელ მოუწოდეს, ხალხის ფუნდამენტურ უფლებებს პატივი სცეს და მათი მისწრაფებები გაიზიაროს.

ევროინტეგრაციის მომხრეების გარდა, იქვე ახლოს, ჯერ ევროპის მოედანზე, შემდეგ კი „მარინსკი პარკში“ იანუკოვიჩის მომხრეთა მრავალათასიანი აქცია დაიწყო. ამ ორ აქციაში მონაწილეთა რაოდენობის შედარება ცოტა უხერხულია, თუმცა ეს უკანასკნელებიც ცდილობენ თავისი პოზიციის დაფიქსირებას. ხელისუფლების მომხრეთა აქცია-კონცერტზე უმრავლესობა ყირიმიდან და უკრაინის აღმოსავლეთიდან იყვნენ ჩასულები. მათ განაცხადეს, რომ საკუთარი სურვილით ჩამოვიდნენ და მათთვის ფული არავის გადაუხდია. თუმცა წინა დღეებში „რეგიონების პარტია“ დონბასში მეშახტეების მობილიზაციას აწარმოებდა. „ანტიმაიდანის“ მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები წარწერით „ევრომაიდანი უკრაინა არ არის!“ და „ფაშიზმი არ გავა!“ მცირე გაუგებრობები მაინც მოხდა. მაგალითად, ამ აქციაზე ყალბმა „პესნიარებმა“ იმღერეს (რომლებიც არა მინსკიდან, არამედ რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან ჩავიდნენ). მეორე დღეს უცნობმა პირებმა საკუთარ სახლთან სცემეს ცნობილ უკრაინელ ჟურნალისტს იური კოტის, რომელსაც „ანტიმაიდანზე“ მიტინგი და კონცერტი მიჰყავდა,

უკრიანის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კი სიტყვიერ დონეზე თითქოს ეჭვქვეშ არ დგას. პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი ამტკიცებს, რომ უკრაინა სტრატეგიული კურსის შესახებ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ეს კურსი ევროპული ინტეგრაციაა. მისი ასეთი განცხადება აშკარად პასუხი იყო გაფართოების საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფიულეს ჩანაწერზე „ტვიტერში“. ფიულეს სიტყვებით, ევროკავშირმა უკრაინასთან მოლაპარაკებები ამ სახელმწიფოს ხელისუფლების ჩამოუყალიბებელი პოზიციის გამო შეაჩერა. უკრაინის ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროკავშირისგან პირველი პირების ოფიციალურ განცხადებებს დაელოდება.

გუშინ ამ განცხადებებმაც არ დააყოვნა. ბრიუსელში ზემოხსენებული სხდომის წინაც და შემდეგაც ევროკავშირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ისევე როგორც უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონმა, მედიასთან ვრცლად ილაპარაკეს უკრაინის თემაზე. საერთო პათოსი უცვლელი იყო - უკრაინისთვის ევროკავშირის კარი ისევ ღიაა. განცხადებები გაკეთეს გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა - ვესტერველემ, ჰეიგმა და ბილდტმა. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანს ტიმერმანსმა „ტვიტერში“ გაკეთებული ჩანაწერისთვის შტეფან ფიულეც გააკრიტიკა. ტიმერმანსის სიტყვებით, სოციალური ქსელი პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად საუკეთესო ადგილი არ არის. გვიდო ვესტერველემ იმედი გამოთქვა, რომ უკრაინა მაინც მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას, კარლ ბილდტმა კი დასძინა, რომ ევროპა თუნდ ხვალ მოაწერს ხელს უკრაინასთან ხელშეკრულებას, თუ კიევისგან მკაფიო ნება იქნება. უილიამ ჰეიგმა აღიარა, რომ ამ თემამ ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობები დაძაბა, თუმცა ფულით შეჯიბრი არ გაიმართება, რადგან უკრაინის წინსვლა რუსეთის ინტერესებშიც შედის. კეტრინ ეშტონის სიტყვებით, მას პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უშუალო შეხვედრისას აუხსნა, თუ რა მოკლევადიანი პრობლემები ელობება წინ უკრაინის ევროინტეგრაციას და ყველა ეს პრობლემა, ეშტონის აზრით, მოგვარებადია.

დავუბრუნდეთ ისევ პრემიერ აზაროვს, მის პოზიციას და აწ უკვე მყიფე მდგომარეობას. აზაროვმა დღევანდელი უკრაინა-რუსეთის მოლაპარაკებების შესახებ განაცხადა, რომ არანაირი საიდუმლო შეთანხმება არ მზადდება, სამთავრობოთაშორისო კომისიის დღის წესრიგი ცნობილია და აქ ყველაფერი გამჭვირვალეა. დღეს მოსკოვში საბაჟო კავშირთან მიერთების საკითხის განხილვაც კი არ არის დაგეგმილი. მოლაპარაკებებზე მთავარი თემა გაზის ფასი იქნება. აზაროვი ამტკიცებს, რომ უკრაინა არანაირ განსაკუთრებულ შეღავათს არ მოითხოვს - უბრალოდ, ნორმალურ, ევროპულ ფასში სურს ბუნებრივი აირის ყიდვა და იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი 17-ში პრეზიდენტების შეხვედრისას მოგვარდება.

ოპოზიცას მთავრობის გადაყენება რადაში პირველ ცდაზე, დეკემბრის დასაწყიში არ გამოუვიდა. მას მერე პარლამენტის სხდომა არც გამართულა ოპოზიციის აქტიური ბოიკოტის გამო. გუშინ გაირკვა, რომ მთავრობის მნიშვნელოვან განახლებას თვით პრეზიდენტი და მმართველი „რეგიონების პარტია“ გეგმავს, თუმცა ამ ეტაპზე ისინი აზაროვის გათავისუფლებას არ აპირებენ. ხელისუფლებას სურს, თანამდებობიდან, პირველ რიგში, ის მინისტრები გაუშვას, რომლებიც ევროინტეგრაციაზე აგებდნენ პასუხს და ხელისუფლება შესაძლო რისკების შესახებ საქმის კურსში დროზე არ ჩააყენეს. ამ ეტაპზე საუბარია ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის მინისტრ იგორ პრასოლოვზე, სამრეწველო პოლიტიკის მინისტრ მიხაილ კოროლენკოსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ლეონიდ კოჟარაზე. მათ მალე ალბათ სხვებიც მიჰყვებიან უკან. „რეგიონების პარტიას“ კაბინეტის 90 პროცენტით განახლება სურს.

თუმცა პრემიერმა აზაროვმა შეიძლება სავარძელი მაინც დაკარგოს მის წინააღმდეგ რადას უმრავლესობის წასვლის გამო. საქმე ის არის, რომ ოპოზიციას ამ საკითხში დახმარება აღუთქვა კომპარტიამ, რომელმაც ორი კვირის წინ მთავრობის გადაყენებას მხარი არ დაუჭირა. კომპარტია თანახმაა, ამჯერად ხმა მისცეს აზაროვის მთავრობის გადაყენებას, თუ ოპოზიცია პარლამენტის დადგენილების მათეულ პროექტს დაუჭერს მხარს. უკვე შეგროვებულია 200 დეპუტატის ხელმოწერა (საკითხის კენჭისყრით გადასაწყვეტად 226 ხმაა საჭირო). პროდასავლური ოპოზიციისთვის კი სულერთია, რა „ტექსტით“ გადააყენებენ მთავრობას და ისინი ყველაფერზე თანახმა არიან. ანუ ოპოზიციას შეიძლება, სულ რამდენიმე ხმაღა აკლია. თუ ამას აზაროვის მიერ პარასკევს მრგვალი მაგიდის ფარგლებში იაცენიუკთან კამათისას ნათქვამ სიტყვებს დავუმატებთ (შესაძლო გადადგომის შესახებ), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზაროვი „წასვლისთვის“ „ფსიქოლოგიურად“ მზად არის.

შიდს-ის აქტივიზმის გახსენება: ყოველ აცდაათ წუთში ერთი კვდება

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ



ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში უკვე ორი თვეა (2014 -ის აპრილამდე გასტანს) არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურად უაღრესად აქტუალური გამოფენა სახელწოდებით „რატომ ვიბრძვით: შიდსის აქტივიზმის გახსენება“ მიმდინარეობს. შესასვლელთან კი მინის ყულაბა დგას, სადაც შენი 1 დოლარი (რამდენის შესაძლებლობაც გაქვს) შიდსთან ბრძოლის პროგრამას შეგიძლია შესწირო და შენი სამოქალაქო აქტივიზმი ამითაც გამოხატო. ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკა აშშ-ში ერთადერთი ადგილია, სადაც სრულადაა შენახული და დოკუმენტირეული ყველა ის მასალა, რაც შიდსთან/აივთან ბრძოლის ამერიკულ ისტორიას ეხება. მითუმეტეს, რომ, ფაქტობრივად, სწორედ ნიუ იორკელების დამსახურებაა შიდსის დაავადებად აღიარება და დაავადებულთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლის დაწყება. ექსპოზიცია, რომელიც „შიდს-ის ფონდის“ მიერ არის დაფინანსებული, შიდსთან ბრძოლის ორი ამერიკული კოალიციის ACT UP -სა და TAG - ის; Gran Fury-ის (ხელოვანთა ერთობა), PWAC და ასევე სხვა დიდი თუ პატარა ჯგუფებისა და ინდივიდების ბრძოლის ისტორიას ვიდეოინსტალაციებით, ფილმებით, პოსტერებით, ფოტოგრაფიებით, კოლაჟებით, ნივთებით მოგვითხრობს. ფოტოგრაფ დუგლას როუელის ნამუშევრები ორგანიზაცია ACT UP -ის იმ საპროტესტო აქციების ფოტოდოკუმენტებია, რომლის დროსაც ამ კოალიციის წევრები 1989 წელს ნიუ იორკის მერის ედ კოჩისა და მისი ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვდნენ. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სახელმწიფო ნიუ იორკში შიდსის - ეპიდემიას არასათანადოდ ებრძოდა. ხუთი ათასი ადამიანი ქალაქის მერიისკენ მარშით დაიძრა, ორასი კი მაშინ დააპატიმრეს, როცა პროტესტანტებმა მანჰეტენის ცენტრში მოძრაობა გადაკეტეს. აქტივისტები საავადმყოფოებსა და სამედიცინო ცენტრებში შიდსით დაავადებულთა მიმართ უფრო მეტ ყურადღებას, აივ - ინფექციით დასნებოვნებული ათასობით უსახლ-კაროებისთვის საცხოვრებლის გამოყოფას, ინექციური ნარკოტიკების ორასი ათასი მომხმარებლებისთვის შიდსის პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და მკურნალობის ჩატარებას; საჯარო სკოლებში შიდსის შესახებ განათლებას სისტემის დანერგვას ითხოვდნენ.

1991 წლის 23 იანვარს ნიუ იორკში შიდსთან ბრძოლის რამდენიმე ორგანიზაციის თაოსნობით ჩატარდა „სასოწარკვეთილების დღე“ - ორი ათასი დემონსტრანტი უოლ სთრითისკენ გაემართა, სხვები - ჰარლემსა და ბრონქსში განლაგებულ სახელმწოფო სტრუქტურების შენობებისკენ. პროტესტანტები შიდსით დაავადებულ უსახლ-კაროებისთვის თავშესაფრებს ითხოვდნენ. ეს მსვლელობები დღის ბოლოს ნიუ იორკის გრანდ ცენტრალზე დიდი დემონსტრაციით დასრულდა, რომლის დროსაც 263 ადამიანი დააპატიმრეს, როცა ისინი 42-ე ქუჩისკენ დაიძვრნენ.

1989 წლის 10 დეკემბერს ორგანიზაცია ACT UP- მა ნიუ იორკში წმინდა პატრიკის საკათედრო ტაძართან ხუთი ათასი ადამიანი კარდინალ ჯონ ი კონერისთვის პროტესტის გამოსახატავად შეკრიბა. ეს საეკლესიო იერარქი შიდსის შესახებ ინფომაციის გავრცელებას, კონდომების დარიგებასა და ქალებისთვის აბორტების დაშვებას ეწინააღმდეგებოდა. დემონსტრანტები აპროტესტებდნენ ეკლესიის ღია ჩარევას სახელწიფო საქმეებში. ისინი სკანდირებდნენ „შეაჩერეთ ეკლესია!“. 10 წლის შემდეგ პროტესტანტები კვლავ შეიკრიბდნენ წმინდა პატრიკის ტაძართან და კვლავ დაადანაშაულეს ეკლესია თინეიჯერებისა და სტუდენტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის იგნორირებაში, რადგანაც ეკლესია უსაფრთხო სექსისა და კონდომების საჭიროების შესახებ ინფომაციის გავრცელებას ებრძოდა.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით შიდსის ეპიდემიის შესახებ ეროვნულ თუ საერთაშორისო დონზე განგაშის ზარის შემკვრელები სწორედ ის ადამიანები აღმოჩდნენ, რომლებიც შიდსით დაავადებულ ავადმყოფებს უვლიდნენ. ეს ის ადამიანები იყვნენ, ვინც შიდსით დაავადებულთა მიმართ არსებულ ფობიურ სტერეოტიპებს ეწინააღმდეგებოდნენ, მათ თემებათ აყალიბებდნენ და სამედიცინო კვლევების ჩატარებისთვის თუ რესურსების მოძიებისთვის იბრძოდნენ. 1988 წელს მწერალმა და სამოქალაქო აქტივისტმა ვიტო რუსომ თავის სიტყვაში „რისთვის ვიბრძვით“ განაცხადა: „შიდსი ნამდვილი ტესტია ჩვენთვის, როგორც ხალხისთვის. როცა მომავალი თაობები გვკითხავენ, სად ვიყავით ჩვენ, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, რომ ვიყავით აქ და ამჟამად. შიდსის კრიზისი საბოლოოდ დაიძლევა და გეები და ჰეტეროები, კაცები და ქალები, შავები და თეთრები გაიგებენ, რომ ამ ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში იყო საშინელი დაავადება, რომ მამაცი ადამიანების ჯგუფი ადგა და შეებრძოლა მას. ზოგ შემთხვევაში მათ თავისი სიცოცხლეც კი გაიღეს იმისთვის, რომ სხვებს ეცოცხლათ და თავისუფლები ყოფილიყვნენ“.

შიდსი 1981 წელს იდენტიფიცირდა და მას დღეს მთელს მსოფლიოში სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მეექვსე ადგილი უჭირავს. ყოველ ნახევარ საათში ერთი ადამიანი ამ დაავადებისგან კვდება. აშშ-ში 600 ათასზე მეტი ადამიანი შიდსისგან გარდაიცვალა და მილიონზე მეტი აივ ინფექციითაა დასნებოვნებული, ბავრმა კი არ იცის, რომ ავადაა. აივისადმი განსაკუთრებულად მოწყვლადი არიან უმცრესობების წარმომადგენლები და სიღარიბის ზღვარზე მყოფნი. მამაკაცებს, ვისაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, განსაკუთრებით აფრო-ემერიკულ და ლათინო-ამერიკულ თემში და ასევე ჰყავთ აფრო-ამერიკელი ან ლათინო - ამერიკელი ქალი შეყვარებულები (საუბარია ბისექსულებზე), აშშ-ში აივ ინფექციით დასნებოვნების ყველაზე მაღალ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ. მსოფლიოში 30 მილიონი ადამიანი შიდსის გამო დაიღუპა, 34 მილიონი კი ამ დაავადებით ცხოვრობს. ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირებულია სუბ - საჰარის აფრიკაში, სადაც 20 -დან ერთ ადამიანს შიდსი აქვს. მთელს მსოფლიოში შიდსი 14 -დან 44 წლამდე ქალების სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია. ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკის გამოფენაზე წარდენილი პოსტერებით/მასალებით კი შესაძლებლია არა მარტო ამ სამწუხარო სტატისტიკის გაცნობა, არამედ წინა საუკუნის 80 -იანებისა და 90-იანების დროინდელი პოლიტიკური და სოციალური განწყობების დინამიკაზე თვალის მიდევნებაც: „სიჩუმე = სიკვდილი“, „შიდსი უმთავრესი საკითხია. რესპუბლიკელებს და დემოკრატებს უნდათ, რომ მოვკვდეთ. მათ არ ვადარდებთ“, „ვებრძოლოთ შიდსს“, „ქალებს შიდსი არ ემართებათ. ისინი უბრალოდ კვდებიან მისგან“, „ჯანდაცვის ხარჯების შეკვეცვა კლავს“, „წაიკითხე ჩემი ტუჩები“, „სიბრაზიდან აქტივიზმისკენ“, „ათი ათასი ნიუ იორკელის სიკვდილი. როგორა ვარ?“(მიმართვა ქალაქის მერს), „ბუში = სიკვდილი. აირჩიე სიცოცხლე“, „მხოლოდ მაშინ ვებრძვი შიდს, თუ მაქვს ტვინი“, „ Stonewall 69 - AIDS Crisis 89“, „ მთავრობის ხელები სისხლშია - ნახევარ საათში ერთი შიდსით გარდაცვლილი“, „კოცნა არ კლავს. კლავს სიხარბე და ინდიფერენტულობა“ და ყველაზე ცნობილი პლაკატი: ამერიკის დროშა, რომელზეც მარცხენა ზედა კუთხეში ლურჯად ვარსკვლავებია დატანილი და დანარჩენ „ტერიტორიაზე“ წითლად შემდეგი სიტყვები: „ჩვენი მთავრობა აგრძელებს ჩვენი ცხოვრების იგნორირებას. ადამიანები კვდებიან იმის გამო, რომ ისინი გეი, შავკანიანები, ლათინო-ამერიკელები და ღარიბები არიან. არა უგვიანეს 1989 წლის 4 ივლისისა 55 ათასი მოკვდება. დაიწყე პირდაპირი მოქმედება ახლა. შეაჩერე, ებრძოლე შიდსს“. ანდა ლურჯი ვარსკვლავების მაგივრად პრეზიდენტების კლინთონისა და ბუში უმცროსის თავები, ხოლო წითელ ხაზებზე შავი მავთულხლართები და სიტყვები ცისფრად „გახსენით საზღვრები!“. გამოფენაზე ასევე მოცემულია უსაფრთხო სექსის მაშინდელი ბროშურები სახელწოდებით „როგორ გვქონდეს სექსი ეპიდემიის დროს“...

აშშ-ში ეპიდემიის დაწყებისთანავე ყველაზე მეტად საზოგადიების მიერ სტიგმატიზირებულნი იყვნენ მამაკაცი გეები, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და იმიგრანტები. ის, რომ ეს დაავადება მარგინალიზირებულ ჯგუფებთან იყო ასოცირებული, დაავადებასთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის სტრატეგიის შემუშავებას ხელს უშლიდა. შიდსი აღქმული იყო, როგორც ჰომოსექსუალებისა და ნარკომანების მიერ დამსახურებული დასჯა და „უცხოებისაგან“ შემოგდებული დაავადება. პროგრესირებადი პანიკის ცეცხლს დაავადების შესახებ ინფორმაციის უქონლობა კიდევ უფრო მეტად აღვივებდა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ ადამიანების იზოლირებისა და კარანტინის გამოცხადების მოთხოვნით გამოდიოდა. აქტივისტები კი ცდილობდნენ აივ ინფექციის მქონეთა დესტიგმატიზაციას და ებრძოდნენ იმ სოციალურ ცრურწმენას, რომ შიდსი მორალური სასჯელი იყო. აქტივისტები ცდილობდნენ შიდსის პრობლემა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიბრტყეზე გადაეტანათ. მოითხოვდნენ შიდსზე საუბრისას სიტყვა „მსხვერპლის“ ხმარებისგან თავის შეკავებას და „ადამიანი, რომელიც შიდსითაა ავად“ დამკვიდრებას. შიდსით დაავადებულები თავად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა დებატებში, სამოქალაქო ღონისძიებებში, სამეცნიერო თუ მედიურ ფორუმებში.

ცნობილია, რომ აივ ინფექცია გადადის ან სქესობრივი ან არასტერილური ინექციური შპრიცით. ამიტომ პროფილქატიკის ადრეული მცდელობები გართულებული იყო XX საუკუნის თანმდევი დიდი კულტურული წინააღმდეგობებით ანუ სექსუალური უფლებების ლიბრალიზაციითა და ე.წ. ნარკოტიკებთან ომით. ბევრი აქტივისტი და ექსპერტი ადამიანებს ურჩევდა თავი შეეკავებინათ სექსუალური კონტაქტებისგან. სხვა აქტივისტები კი, ვინც სექსუალურ თავისუფლებასა და ადამიანის არჩევანის პრიმატს ქადაგებდნენ, „უსაფრთხო სექსის“ კონცეფციას ემხრობოდნენ. მათ მცდელობებს სოციალური კონსერვატორების წინააღმდეგობა ხვდებოდა. ინექციურ ნარკომანებს შორის აივ ინფექციასთან ბრძოლა კი იმით გამოიხატებოდა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ რეცეპტის გარეშე ერთჯერად თუ სტერილურ ნემსებზე ურეცეპტო მისაწვდომობა აკრძალა, რადგანაც ეგონათ, რომ ამგვარი ღონისძიებებით ისინი ნარკომანიას დაამარცხებდნენ; ორგანიზაციებს კი, რომლებიც ნარკომანებისთვის სტერილური ნემსების მიწოდებით იყვნენ დაკავაბული, ფედერალური დაფინანსება შეუწყდათ. თუმცაღა მოგვიანებით მიხვდნენ, რომ ამგვარი აკრძალვა მხოლოდ ზიანის მომტანი იყო.

აქტივისტები ცდილობდნენ პირადი ტრაგედია ერთობლივ პოლიტიკურ ხმად გადაექციათ და ამავდროულად შეენარჩუნებინათ დაავადებულ ადამიანთა ღირსება. მათ ეშინოდათ, რომ მწუხარებაზე დიდი აქცენტი ავადმყოფურ სენტიმენტალობაში და ვუაერიზმში გადაიზრდებოდა და აივ ინფექციით დასნებოვნებულებს ცუდ სამსახურს გაუწევდა. 1983 წელს „დაიდგა“ ე.წ. საზოგადოებრივი ძეგლი - მრავალათასიანი აქცია სანთლებით ხელში, რომელიც შიდსით გადრაცვლილთა და იმ ადამიანთა ხსოვნას ეძღვნებოდა, ვინც შიდსის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნავდა. ბუნებრივია, ამგვარი „ხსონვნის აქციები“ ამ პრობლემის აქტუალიზირებას უწყობდა ხელს. შიდსის მსხვერპლთა გახსენების ყველაზე ცნობილი მემორიალი არის Quilt (ნაჭრების საბანი), რომლის „ნაწილებიც“ შიდსით გარდაცვლილი ადამიანის ოჯახის წევრებმა შეკერეს. შიდსით გარდაცვლილთა გასახსენებლად ტანაცმელზე წითელი ლენტის დამაგრება კი IXX საუკუნის ტრადიციიდან მოდის, როცა მას ტრაურის დროს გარდაცვლილზე მწუხარების აღსანიშნავად იკეთებდნენ. თუმცაღა ბევრი აქტივისტი კრიტიკულად აფასებდა ამგვარ მგრძნობელობას და ცდილობდა შიდსის პრობლემა უფრო მწვავე პოლიტიკურ დისკურსში გადაეყვანა.

შიდსის ეპიდემიის დასაწყისში, ბუნებრივია, ჯანდაცვის მუშაკებსაც მწირი ინფორმაცია ჰქონდათ ამ „ახალი დაავადების“ შესახებ. არავინ იცოდა დაავადებულთა მოვლის რეალურად ეფექტიანი მეთოდების შესახებ. ამავე დორს იქმნებოდა სათემო ორგანიზაციები, რომლებიც შიდსის კვლევებისა და თანხების მოძიებით იყვნენ დაკავებული. თუმცაღა აქტივისტები ამგვარ ბიუროკრატულ სისტემას არ ეთანხმებოდნენ და ზეწოლის სხვადასხვა ხერხებს მიმართავდნენ, რათა ფარმაცევტულ კორპორაციებსა და ჯანდაცვის ნაციონალურ ინსტიტუტებს შიდსის სამკურნალო პრეპარატების ტესტირება და დადებითი შეფასება დაეჩქარებიანათ. სწორედ ამ აქტივისტების დამსახურებაა, რომ რეკორდულად მცირე დროის მონაკვეთში შემუშავდა მკურნალობის კომბინირებული მეთოდები, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. დღეს 8 მილიონი ადამიანი სწორედ შიდსის აქტივისტების ბრძოლის შედეგადაა ცოცხალი. დეივიდ ფრენსის ოსკარზე ნომინირეული და არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მქონე ფილმი „როგორ გადავურჩეთ უბედურებას“ (მან ეს ფილმი თავის პარტნიორს მიუძღვნა, რომელიც1992 ში შიდსით გარდაიცვალა) სწორედ იმ ადამიანებეზეა, რომლებმაც სხვები სასიკვდილო განაჩენისგან იხსნეს.

ჭაბუა ამირეჯიბი - ბერი დავითი

2013 წლის 13 დეკემბერს, გამთენიისას, გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, XX საუკუნის ქართული პროზის კლასიკოსი ჭაბუა (მზეჭაბუკ) ირაკლის ძე ამირეჯიბი - ბერი დავითი.

ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტი მოზარე და ჭირისუფალი.

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება სამშობლოს უებრო მსახურების ერთი უბადლო მაგლითია, სამშობლოსი, რომელსაც შესწირა ყველაფერი - საკუთარი ახალგაზრდობა, ოცნებები და ზმანებანი, დაუფიქრებლად შესწირა გმირი ვაჟიშვილი, რადგანაც იცოდა: ერთადერთი ჭეშმარიტება, ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი ჭეშმარიტება სამშობლოა - სულზე უტკბესი და უნეტარესი ჭეშმარიტება და მხოლოდ მისთვის ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

ბატონი ჭაბუა ჭეშმარიტად ამართლებდა ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს - სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის მოწამებრივი თავგანწირვისა...

ამ თავგანწირვის საუცხოო ნიმუშია ჭაბუა ამირეჯიბის სწორუპოვარი პროზა, რომელიც მკითხველს მასშტაბურობითა და, შეიძლება ითქვას, ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს...

ჭაბუა ამირეჯიბი დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე და მიიღო სამხედრო რადიოტექნიკოსის წოდება.

1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად. 1941 წლის 23 ივნისს ჭაბუა ამირეჯიბი მობილიზაციით გაიწვიეს არმიის რიგებში. 1942 წელს დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო სწავლა. ამ დროისათვის შეიქმნა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია "თეთრი გიორგი", რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც ბატონი ჭაბუა იყო. 1943 წელს იგი დააპატიმრეს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით და მიუსაჯეს 25 წლით პატიმრობა. სასჯელი რამდენჯერმე შეუცვალეს, ორჯერ დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი. საერთო ჯამში მისმა სასჯელმა 83 წელი შეადგინა. პატიმრობის დროს მონაწილეობდა ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებებში. თითქმის ორი ათეული წელი გაატარა ყარაგანდის, კოლიმის, მორდოვეთის, ტაიმირის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში. იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი, ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი...

ჭაბუა ამირეჯიბი გადასახლებიდან 1959 წელს დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობასი. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველო - აშშ ერთობლივი საწარმოს "ამსაქფილმის" დამაარსებელი და დირექტორი, ალმანახ "კინოს" დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" მეორე გაერთიანების დირექტორი, კინოსტუდია "მემატიანეს" დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ კი პარლამენტის წევრი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია "ივერიის" და გაზეთ "ახალი ივერიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე, ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტი...

სადაც კი იმუშავა ამ დიდმა მწერალმა და ერისკაცმა, ყველგან ღრმა კვალი გაავლო, ყველაფერს თავისი ტვიფარი დაამჩნია პროფესიონალიზმისა, სისპეტაკისა, კეთილშობილებისა და სათნოებისა...

ჭაბუა ამირეჯიბის სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ "მნათობში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა "რატომ არ დამაცადე". ასე დაიწყო დიდი შემოქმედის ლიტერატურული ცხოვრება, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა ქართული გენის ნიჭიერებისა და უკვდავების შესახებ.

ჭაბუა ამირეჯიბმა არამარტო გაამდიდრა ქართული მწერლობა, არამედ განვითარების ახალ საფეხურზეც აიყვანა. სწორედ ამის დასტურია მარადიული წიგნი-რომანი "დათა თუთაშხია", საყოველთაო-სახალხო სიყვარული რომ ხვდა წილად. "დათა თუთაშხია" საგაა ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ჭირთა თმენის ნიჭზე, საქართველოს უკვდავებაზე. ამ მრავალპლანიან, კომპოზიციურად მართლაც რომ დიდოსტატურად შეკრულ რომანში ურთულესი ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკაა განხილული. დათა, რომანის მთავარი გმირი, სიკეთისა და სამართლიანობის მარადმღვიძარე რაინდი საკუთარი სულიერი, ზნეობრივი მოთხოვნილებების ხორცშესხმად მიიჩნიეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

დიდი მოწონება ხვდა წილად მწერალის მეორე რომან "გორა მბორგალს", უაღრესად რთულსა და ტევად ნაწარმოებს, რომელიც საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმებისა. ამ რომანში მწერალმა დიდოსტატურად გვიჩვენა საბჭოთა იმპერიის შემზარავი არსი, გააშიშვლა მისი ნამდვილი სახე...

"დათა თუთაშხია" და "გორა მბორგალი" ქართველი ხალხის ზნეკეთილობის, მისი სულიერი სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა და ასე შემოაბიჯა XXI საუკუნეში. დათა და გორა საოცარი ძალით ავსებენ ერთმანეთს და ქართველ ერს სულიერების პრიმატის ქადაგებისკენ მოუწოდებენ. ძლიერი სული, ძლიერი ადამიანები, ძლიერი ერი ქვეყნის განუყოფლობის, მისი ერთობის, გონიერებისა და ქედუხრელობის საფუძველია. ეს ის ტრიადაა, რომელიც ქვეტექსტურად გასდევს ბატონი ჭაბუას მთელ შემოქმედებას.

ბეწვის ხიდზე მავალ სამშობლოს ამ დიდმა შემოქმედმა რომანი "გიორგი ბრწყინვალე" უძღვნა. და მსუყე საღებავებით დაგვიხატა უბრძნესი მეფის მონოლითური სახე, მეფისა, რომლის გამჭრიახობამ, ჭკუამ და მოქნილობამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება მისცა ქართველობას...

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება ერთი გაბმული მარტვილობაა და, ალბათ, ამიტომაც სიცოცხლის ბოლო წლებში ბერად აღიკვეცა ქართული პროზის დიდოსტატი და მამა დავითად ქცეული გულმდუღარედ ავედრებდა არსთაგამრიგეს ღვთისშობლის წილხვედრ ქვეყანას.

სამშობლომ საკადრისი პატივი მიაგო თავის დიდ შვილსა და ერისკაცს. ქართული მწერლობის კლასიკოსი დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით, არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად და თბილისის საპატიო მოქალაქედ, მონიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო (2), სსრკ სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და საბას, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, ქართული პროზის რაინდისა და საქართველოს სახალხო მწერლის წოდებები. მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯისა და აშშ-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში.

ძნელია, ძალზე რთულია და მტკივნეული ამ დონის შემოქმედთან, ამ დონის მოაზროვნესთან და ერისკაცთან გამოთხოვება და მასზე წარსულ დროში საუბარი. ისღა გვანუგეშებს, რომ ჩვენ მისი თანამედროვენი ვიყავით და მასთან ურთიერთობის ბედნიერება გვქონდა. და რაც მთავარია: იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც შეგვეძლება ასწლეულების შემდეგ თავის მოწონება, უდავოდ საპატიო ადგილს დაიკავებს ჭაბუა ამირეჯიბი და მისი უბადლო შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

გიორგი მარგველაშვილი
ირაკლი ღარიბაშვილი
დავით უსუფაშვილი
ბიძინა ივანიშვილი
გიგი უგულავა
ივანე კიღურაძე
გურამ ოდიშარია
მანანა ბერიკაშვილი
მაყვალა გონაშვილი
რევაზ მიშველაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ლაშა თაბუკაშვილი
ბაღათერ არაბული
თამაზ ჭილაძე
გურამ დოჩანაშვილი
მამუკა ქაცარავა
დავით მაღრაძე
მერაბ ბერძენიშვილი
ვაჟა აზარაშვილი
გივი თოიძე
გიგა ბათიაშვილი
დავით თედორაძე
თეიმურაზ ლანჩავა
ჯემალ ინჯია
თამაზ ჭილაძე
რეზო ჭეიშვილი
გურამ ბათიაშვილი
ბაჩანა ბრეგვაძე
სოსო სიგუა
ზაალ ბოტკოველი
ვახტანგ ჯავახაძე
რეზო ამაშუკელი
ბესიკ ხარანაული
ლია სტურუა
გოგი ხარაბაძე
რეზო ჩხეიძე
ელდარ შენგელაია
ზურაბ ნიჟარაძე
თენგიზ არჩვაძე
გოგი ქავთარაძე
დალი ფანჯიკიძე
პაატა ბურჭულაძე
დავით შემოქმედი
გივი ბერიკაშვილი
კახი კავსაძე
მერაბ კოკოჩაშვილი
ლანა ღოღობერიძე
გიორგი შენგელაია
ტარიელ ჭანტურია
ტარიელ ქუთათელაძე
ზურაბ ნიჟარაძე
კახა ცაბაძე
ვახტანგ დავითაია
როინ მეტრეველი
მარიკა ლორთქიფანიძე
რობერტ სტურუა
თემურ ჩხეიძე
გურამ ბარნოვი

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027866

შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.12.2013 14:28
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18900000-საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18934000-პაკეტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	1500 ცალი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	36 ლარი
გარანტიის ოდენობა	36 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027816

შემსყიდველი	ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	13.12.2013 19:33
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	33500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	670 ლარი
გარანტიის ოდენობა	335 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027820

შემსყიდველი	სმართ ლოჯიქი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	13.12.2013 19:41
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	38060 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	72700000-კომპიუტერული ქსელის მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	72720000-ფართო ქსელების მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	400 ლარი
გარანტიის ოდენობა	381 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027817

შემსყიდველი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	13.12.2013 19:39
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	350 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	71300000-საინჟინრო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	71354300-მომსახურებები საკადასტრო აზომვების სფეროში
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	5 ლარი
გარანტიის ოდენობა	4 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

მიხეილ გაბრიჩიძემ ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი წარადგინა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გამართა პირველი პრესკონფერენცია, რომელზეც თავისი გუნდი წარადგინა და იმ პრიორიტეტებზე ისაუბრა, უახლოეს მომავალში რომ აპირებს მუშაობას.

ახალი პრეზიდენტის წარდგინებით, 11 დეკემბერს გამართულ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე გამგეობა დამტკიცდა 9 წევრის შემადგენლობით: მიხეილ გაბრიჩიძე, გიორგი ქართველიშვილი, თემურ დათიკაშვილი, ვლადიმერ ბოისა, კახა შენგელია, გიორგი სანაძე, ნოდარ ქორქია, ვალერი ლომაძე, გივი ბიჭიაშვილი. დღევანდელ პრესკონფერენციაზე კი მიხეილ გაბრიჩიძემ ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი წარადგინა.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ორი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები კახა შენგელია და ვლადიმერ ბოისა დაიკავებენ, ხოლო გენერალური მდივანი ვეტერანი კალათბურთელი და იურისტი, გიორგი ქართველიშვილი იქნება.

სპორტის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ გაბრიჩიძემ და მისი გუნდის წევრებმა უახლოეს გეგმებზე ისაუბრეს:

მიხეილ გაბრიჩიძე: „პირველ რიგში, დიდი მადლობა იმისთვის, რომ თქვენ მიერ გაშუქებული ინფორმაცია იყო აბსოლუტურად ობიექტური, რაც დაგვეხმარა იმაში, რომ 11 დეკემბრის არჩევნები ჩაგვეტარებინა საქმიან ატმოსფეროში. დიდი მადლობა ყველა იმ დელეგატს, რომელიც მოვიდა იმ დღეს და განსაკუთრებით მათ, ვინც მე დამიჭირა მხარი. მინდა უდიდესი პატივისცემა დავუდასტურო ჩემს მეგობრებს, კახა შენგელიას და ვლადიმერ ბოისას, რომლებმაც არჩევნებიდან მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა ჩემ სასარგებლოდ. ამან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ ეს ადამიანები საქართველოში კალათბურთის განვითარებისთვის იბრძვიან და სურთ, არავითარი დაპირისპირება არ არსებობდეს. პირიქით, ჩვენ ერთიანი ძალებით ვაპირებთ მუშაობას. გვსურს, გავაგრძელოთ განვითარება და კალათბურთი გადავიყვანოთ ახალ ეტაპზე. შეპირებისამებრ, პარასკევს ჩავატარეთ გამგეობის სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დამტკიცდა ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი. პატივი მაქვს, ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე წარმოგიდგინოთ კახა შენგელია და ვლადიმერ ბოისა. თავიდანავე აღვნიშნავ, რომ ისინი იქნებიან ვიცე-პრეზიდენტები თანაბარი უფლებამოსილებით. გენერალური მდივანი კი გიორგი ქართველიშვილი იქნება.

ჩვენს გუნდს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები შეადგენენ, სხვადასხვა მიმართულებით გვაქვს გამოცდილება და ერთიანი ძალებით შევძლებთ ქართული კალათბურთი განვითარების ახალ მიმართულებაზე გადავიყვანოთ. პირველ რიგში, აუცილებელი იქნება აქტიური მუშაობა ფიბასთან და ფიბა-ევროპასთან წესდების ახალი ვარიანტის შესამუშავებლად. სამუშაო პროცესში ჩართული იქნებიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. გვინდა, სამუშაო ჯგუფში მოვიწვიოთ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იურისპრუდენციისა და სპორტული განვითარების დარგში მუშაობენ. გვსურს, გავიზიაროთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წესდებების შემქმნელი ჯგუფების აზრები. განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის სიტუაცია ჰგავს ჩვენს რეალობას და ამ რეგიონის წარმომადგენელთა გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება, რათა შევიმუშაოთ ისეთი წესდება, რომ სადავო აღარაფერი იყოს.

რაც შეეხება პირველ ნაბიჯებს, იანვრიდან ჩავატარებთ ფინანსურ აუდიტს, შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელსაც უხელმძღვანელებს კახა შენგელია. ჯგუფში შევა გამგეობის კიდევ რამდენიმე წევრი. ჩავატარებთ ინვენტარიზაციას და სრულ აუდიტს რეგიონებში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შევისწავლით პრობლემებს. დაიწყებთ მუშაობას რეგიონში კალათბურთის განვითარებისთვის, შევხვდებით ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და მუნიციპალიტეტებს. აუცილებელია, რომ ყველა რეგიონს ერთი გუნდი მაინც ჰყავდეს.

მუშაობაში აქტიურად იქნებიან ჩართული ვეტერანები. ამ ადამიანებმა თავიანთი ბრძოლისუნარიანობით და შრომით დღემდე მოიტანეს კალათბურთი, გამოაირეს ბევრი პრობლემა და მათი აზრი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. ვეტერანები დაფასებულნი იქნებიან, მათ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს, რომ ჰქონდეთ სათანადო პირობები და ანაზღაურება. უახლოეს მომავალში დაგეგმილი გვაქვს სპეციალური ელექტონული მისამართის შექმნა, რომელზეც ყველა დაინტერესებული პირი გამოგზავნის თავის მოსაზრებას წესდებასთან და, ზოგადად, საქართველოში კალათბურთის განვითარებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საინტერესო წინადადებების ავტორებს შევხვდებით და მათთან ვითანამშრომლებთ. აუცილებელია, რომ როგორც მოთამაშეები, ისე სპეციალისტები, ვეტერანები, გულშემატკივრები და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებიც იყვნენ ჩართული ახალი წესდების შემუშავებაში.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ამ თემაზე მიმდინარეობს კონსულტაციები. ვფიქრობთ, პირველ რიგში მოთამაშეებს დაველაპარაკოთ. შეიქმნება სპეციალური ჯგუფი მწვრთნელებისა და სპეციალისტების შემადგენლობით, რომელიც უახლოეს მომავალში გადაწყვეტს მწვრთნელის საკითხს. ჩემი აზრით, ექვსი წელი დიდი დრო იყო ერთი მწვრთნელისთვის და ალბათ ახალი მიმართულების პოვნაა საჭირო.

ეროვნული ჩემპიონატის ფორმატთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული უკმაყოფილება. საახალწლო დასვენების შემდეგ მოვაწყობთ კონფერენციას კლუბების ხელმძღვანელებთან და მწვრთნელებთან. ერთად გადავწყვეტთ, თუ რა იქნება შესაცვლელი - გათამაშების ფორმატი იქნება ეს თუ სხვა სახის ხარვეზები.

კახა შენგელია -კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

ვფიქრობ, საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური შემადგენლობა შევიკრიბრეთ, რომელიც მისაღებია საკალათბურთო სამყაროსთვის. ჩვენი მიზანი იქნება ჩვენი საკალათბურთო კავშირები და გამოცდილება მოვახმაროთ საქართველოში კალათბურთის განვითარებას.

გიორგი ქართველიშვილი -კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი:

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, აუცილებელია წესდების სრულყოფა. უნდა შემუშავდეს ახალი წესდება, რომელიც სრულად გაიზიარებს საერთაშორისო საკალათბურთო სამყაროს რეკომენდაციებს. ჩვენ 11 დეკემბრის ყრილობის დროსაც ავიღეთ პასუხისმგებლობა და მივიღეთ დელეგატთა დავალება, რათა სპორტის სამინისტროსთან, ფიბასთან და ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად დავიწყოთ მუშაობა ახალი წესდების შემუშავებაზე, რათა მომავალში აღარ მოხდეს ამ თემით აპელირება. ეს უნდა იყოს სამუშაო, ეს უნდა იყოს კანონი საკალათბურთო სამყაროსთვის და ჩვენ ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად სრულვყოფთ წესდებას. მომავალში გავაგრძელებთ უფრო ინტენსიურ მუშაობას ფიბასთან, რომელთან ერთადაც ჩავატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს. თუ რა სახის ღონისძიებები იქნება ეს, ამაზე მომავალში ვისაუბრებთ. ჩვენი მიზანია ქართული საკალთბურთო სამყაროს კონსოლიდირება და ყველა აზრის გაზიარება. ისეთი მოდელი უნდა შევქმნათ, რომ ის ყველამ გაიზიაროს.

პრესკონფერენცია მიხეილ გაბრიჩიძემ შემდეგ თემაზე საუბრით დაასრულა:

თქვენ ყველანი ესწრებით საკალათბურთო მატჩებს და რაღაცები არ მოგწონთ მოთამაშებისა და გულშემატკივრების ქცევაში. ეს ჩვენც არ მოგვწონს. ამიტომ გადავწყვიტეთ, უახლოეს მომავალში შევიმუშაოთ კალათბურთელის ქცევის კოდექსი, რასაც შემდგომში თავად კალათბურთელებმა და გუნდების ხელმძღვანელებმა უნდა მოაწერონ ხელი. ეს იქნება ყველასთვის აუცილებლად შესასრულებელი. დღევანდელი მდგომარეობა დახვწნას და გამოსწორებას მოითხოვს მსაჯებთან, მწვრთნელებთან, გულშემატკივრებთან და ჟურნალისტებთან ურთიერთობაში. აუცილებლად შევქმნით კომისიას, რომელიც ინფრასტრუქტურას და მატერიალურ-ჰუმანიტარულ რესურსებს შეისწავლის. ასევე განსაზღვრავს არსებული კონტინგენტის პედაგოგიურ შესაძლებლობებს. გაიმართება სემინარები, რათა მოზღვავებულ ბავშვთა რაოდენობას მზად დავხვდეთ, მათ მაქსიმალური გამოცდილება გავუზიაროთ და პირობები შევუქმნათ. ალბათ ორი-სამი თვე დაგვჭირდება, რომ სრულად გავაანალიზოთ ფედერაციაში არსებული მდგომარეობა და შემდეგ გადავწყვიტოთ, თუ რა სტრუქტურის დამატება იქნება საჭირო. რაც შეეხება გულშემატკივრის პრობლემას, ეს არ არის მხოლოდ ფედერაციის სამუშაო და ეს არ არის მარტო კალათბურთის პრობლემა. წახალისდებიან გუნდები, რათა მათ მოიზიდონ უცხოელი კალათბურთელები. გატარდება სხვადასხვა მარკეტოლოგიური ღონისძიება და სპორტულ მარკეტოლოგებთან ერთად შევიმუშავებთ გეგმას ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

www.gbf.ge

ლებრონის დილემა

ზურა თალაკვაძე

ლებრონ ჯეიმსი რეგულარულს აკვირდება და „მაიამიმ“ ცოტა მერე, მარტისთვის უნდა აკრიფოს. ან მარტამდე მოუმატებს და ზედიზედ 10, 15 ან მეტ თამაშს მოიგებს. ლებრონისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია და ლებრონი სხვა გუნდებს აკვირდება. ძირითადი თემა აპრილიდან იწყება და იქ უკვე ბალასტი თითქმის არ წამოვა. ბალასტი რეგულარულშია და ბალასტი აღმოსავლეთის კონფერენციის ოთხმოცი პროცენტია. „მაიამი“ ასრულებს და ლებრონის უბანში ჯერ არ ნერვიულობენ. „მაიამის“ 17 მოგება და 6 ვერმოგება მოქმედი ჩემპიონისთვის ნორმალური, ამ ეტაპზე მისაღებია. სხვები საქმეს, საშინაო დავალებას ოდნავ უკეთ აკეთებენ. „ბრუკლინი“ ფლეი ოფში შეიძლება გავიდეს. კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში შეიძლება მოხვდეს „ნიუ იორკიც“. თუ იქვე, აპრილის გარჩევებში, მარჩინ გორტატიც („ვაშინგტონი“) შევა, აღმოსავლეთის კონფერენციის პირველ წრეს არ უნდა უყუროთ. აღმოსავლეთში მომგები ყველაფერს მოიგებს და გამგები ყველაფერს გაიგებს. ლებრონი ელოდება დანარჩენებს და დანარჩენები უმატებენ. ორივე კონფერენციიდან. ლებრონის მთავარი ჩელენჯერები.

1. ინდიანა (20:3)

პოლ ჯორჯის და როი ჰიბერტის აგრესია ჯერ საკმარისია სრული კომფორტისთვის. მოუმატებს დევიდ უესტი და მისტერ უესტის 12-13 ქულა, 6-7 მოხსნა ყოველთვის საჭიროა. უესტის და ლენს სტივენსონის დაცვა დროდადრო ზედმეტად აგრესიული და არასტაბილურია. სტივენსონმა შეიძლება გაუშვას თავისი კაცი, უესტის აწყობილი მუხლები ხანდახან იშლება და მთელ ამ დისონანსს „ინდიანას“ გუნდური დაცვა და იდეალურად დატანილი ფერები ფარავს. მშვიდად აკეთებს თავის საქმეს ლუის სკოლა და არგენტინელი კლუბის სტაბილიზატორია. ყველაზე გამოცდილი ტიპი, რომელიც ჰიბერტს ბევრს აუხსნის და როის თვალები დაეწმინდება. შარშან, ჯორჯმა ლებრონს აწყენინა. კონფერენციის ფინალში „მაიამიმ“ მწვანე მილი ბოლომდე გაიარა და მეშვიდე თამაშში მოკლა ჯორჯი. თუ წელს ყველაფერი ლოგიკურად იქნება, აღმოსავლეთის ფინალში ალბათ ლებრონი და „ინდიანა“ დაჯდებიან.

2. ოკლაჰომა (19:4)

რასელ უესთბრუქი საჭირო პერსონაა და მისტერ უესთბრუქი კევინ დიურანს ხელს უშლის. მისტერ უესთბრუქმა ნაკლები სროლით და ნაკლები შეცდომით მეტი ქულის აღება ისწავლა. მისტერ უესთბრუქი ჭრის ნებისმიერ დაცვას და რასი კლასია. თუ დასავლეთის კონფერენციაში ყველა ფავორიტი ჯანმრთელი იქნება, უესთბრუქი და დიურანი „ოკლაჰომას“ ბოლომდე გაიყვანენ. უნდა გაიყვანონ. შარშან რასი დაიშალა და დიურანის ფანტაზია „მემფისის“ სადიზმმა გადაფარა. წელს „მემფისიც“ შეიცვალა. „ოკლაჰომა“ ერთხელ იყო ფინალში და იქ ლებრონმა მოაგვარა პრობლემები. „ოკლაჰომა“ ფინალისთვის შექმნილი ბანდაა და სერჟ იბაკა უმატებს. უბრალოდ, კუბს არ ჰყავს ცენტრი და იმპოტენტი კენდრიკ პერკინსი იქ ზედმეტია. ნიკ კოლისონი ნაკლები ხელფასით მეტს აკეთებს. კოლისონთან ერთად „ოკლაჰომამ“ გააჩერა ბევრი გუნდი. დიურანი ამ სეზონში საუკეთესოა. ალბათ, უფრო სანდო, ვიდრე „მაიამის“ დიდი ბიჭი.

3. სან ანტონიო (19:4)

თუ ემანუელ ჯინობილი ემანუელ ჯინობილი იქნება, „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში შევა. თუ გრეგ პოპოვიჩი გრეგ პოპოვიჩის ტაქტიკით ითამაშებს, „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში დაჯდება. თუ კავაი ლეონარდის პროგრესი არ გაჩერდება, „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში ითამაშებს. თუ ბორის დიაო ფანტაზიით და აგრესიით მიხედავს საქმეს, „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში გავა. თუ ტიაგო სპლიტერი ჯანმრთელი და კონცენტრირებული იქნება, „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში ითამაშებს. თუ „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში ითამაშებს, „ოკლაჰომას“ პრობლემები ექნება. თუ „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში ითამაშებს, დიურანი და უესთბრუქი ინერვიულებენ. ყველა შემთხვევაში საინტერესო ფინალი დაიწყება. ალბათ, „სან ანტონიოს“ და „ოკლაჰომას“ მოუშლიან ნერვებს „კლიპერსი“ და „მემფისი“. კი, კი, „მემფისი“. თუ რენდოლფი და პატარა გასოლი დროულად დაიწყებენ რეალურ თამაშს. თუ „სან ანტონიოს“ ღიმილში იქნება ტიმ დანკანის დიდი დოზა, „სან ანტონიო“ დასავლეთის ფინალში გავა. ხომ გახსოვთ, არ იცვლება სამი რაღაც - სიკვდილი, გადასახადები და ტიმ დანკანი. და ეს ყველას ახსოვს.

4. პორტლენდი (21:4)

„პორტლენდი“ მომწონს. არ შეიძლება არ მოგწონდეს რაულ ლოპესის ვარცხნილობა და ის, რომ ეს დიდი ბიჭი გუნდს გულს აძლევს. ლოპესი მაგარი კაცია. არ შეიძლება არ მოგწონდეს დემიან ლილარდის პირველი ნაბიჯი და „პორტლენდის“ პატარა ბიჭის იმპროვიზაცია. ლილარდი უმატებს და ბიჭმა იცის, რომ მალე კრის პოლის ტერიტორიაზე შევა. არ შეიძლება არ მოგწონდეს ლამარკუს ოლდრიჯის მოძრაობა სამწამიანთან და მისტერ ოლდრიჯის მოძრაობა სამწამიანში, როდესაც ის ტიმ დანკანის საუკეთესო იმპროვიზაციას ახდენს. ოლდრიჯი მაგარი ტიპია. არ შეიძლება არ მოგწონდეს ნიკოლა ბატუმის უნივერსალიზმი და ის, რომ ფრანგი კალათბურთით დიდ სიამოვნებას იღებს. ბატუმმა მოიგო ევრობასკეტი და ბატუმი ტონი პარკერთან ახლობლობს. ალბათ, უნდა მოგწონდეს უესლი მეთიუზიც, რომელიც „პორტლენდის“ პირველი ხუთეულიდან ყველაზე ცოტას ხმაურობს და მაინც შეუცვლელია. ამ ხუთეულით კლუბი ბევრს გააკეთებს. უბრალოდ, დანარჩენები ვერ ქაჩავენ. და ლიდერები არ უნდა დაიშალონ.

რკინის ლებრონ ჯეიმსი რეგულარულს აკვირდება და „მაიამიმ“ ცოტა მერე, მარტისთვის უნდა აკრიფოს. ან მარტამდე მოუმატებს და ზედიზედ 10, 15 ან მეტ თამაშს მოიგებს. ლებრონისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია და ლებრონი სხვა გუნდებს აკვირდება. ძირითადი თემა აპრილიდან იწყება და იქ უკვე ბალასტი თითქმის არ წამოვა. ბალასტი რეგულარულშია და ბალასტი აღმოსავლეთის კონფერენციის ოთხმოცი პროცენტია. „მაიამი“ ასრულებს და ლებრონის უბანში ჯერ არ ნერვიულობენ. „მაიამის“ 17 მოგება და 6 ვერმოგება მოქმედი ჩემპიონისთვის ნორმალური, ამ ეტაპზე მისაღებია. სხვები საქმეს, საშინაო დავალებას ოდნავ უკეთ აკეთებენ. „ბრუკლინი“ ფლეი ოფში შეიძლება გავიდეს. კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში შეიძლება მოხვდეს „ნიუ იორკიც“. თუ იქვე, აპრილის გარჩევებში, მარჩინ გორტატიც („ვაშინგტონი“) შევა, აღმოსავლეთის კონფერენციის პირველ წრეს არ უნდა უყუროთ. აღმოსავლეთში მომგები ყველაფერს მოიგებს და გამგები ყველაფერს გაიგებს. ლებრონი ელოდება დანარჩენებს და დანარჩენები უმატებენ. ორივე კონფერენციიდან. ლებრონის მთავარი ჩელენჯერები. ოთხი გუნდი და ერთი „მაიამი“. უკვე საინტერესოა.

ლიგა მერვედფინალებში დაწყვილდა, ევროპის ლიგა - მეთექვსმეტედფინალებში

პირველი გვერდიდან

G ჯგუფში დაკავებული პირველი ადგილით საუკეთესო კლუბად დასახელებულია მადრიდის „ატლეტიკო“, რომელმაც არგენტინელი დიეგო სიმეონეს ხელმძღვანელობით ექვსიდან ხუთი მატჩი მოიგო. საუკეთესო ფეხბურთელი კი მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი თავდასმხმელი კრიშტიანუ რონალდუა, რომელმაც ცხრაჯერ აიღო მეტოქის კარი და ჯგუფურ ეტაპზე შედეგიანობით რეკორდი დაამყარა.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) - „ბარსელონა“ (ესპანეთი); „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) - „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი); „მილანი“ (იტალია) - „ატლეტიკო“ (ესპანეთი); „ლევერკუზენი“ (გერმანია) - პსჟ (საფრანგეთი); „გალათასარაი“ (თურქეთი) - „ჩელსი“ (ინგლისი); „შალკე“ (გერმანია) - „რეალი“ (ესპანეთი); „ზენიტი“ (რუსეთი) - „დორტმუნდი“ (გერმანია); „არსენალი“ (ინგლისი) - „ბაიერნი“ (გერმანია).

...1/8-ფინალები 18-19 და 25-26 თებერვალს გაიმართება. ჯგუფის გამარჯვებულები პირველ შეხვედრებს სტუმრად გამართავენ, ხოლო საპასუხო მატჩებს - 11-12 და 18-19 მარტს სახლში. მეოთხედფინალის კენჭისყრა 21 მარტს ჩატარდება, 11 აპრილს კი ნახევარფინალისტები დაწყვილდებიან.

კონტინენტის მთავარი საკლუბო პირველობის ფინალს 24 მაისს ლისაბონის სტადიონი „ეშტადიო და ლუში“ (ოფიციალურად ცნობილი როგორც Estadio do Sport Lisboa e Benfica) უმასპინძლებს.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის კენჭისყრის შემდეგ უეფას შტაბბინა ევროპის ლიგის 1/16-ფინალისა და 1/8-ფინალის კენჭისყრას დაეთმო, რომლის შედეგად გუნდები ასე დაწყვილდნენ:

1/16-ფინალი:

„დნიპრო“ (უკრაინა) - „ტოტენჰემი“ (ინგლისი)

„ბეტისი“ (ესპანეთი) - „რუბინი“ (რუსეთი)

„სუონსი“ (უელსი) - „ნაპოლი“ (იტალია)

„იუვენტუსი“ (იტალია) - „ტრაბზონსფორი“ (თურქეთი)

„მარიბორი“ (სლოვენია) - „სევილია“ (ესპანეთი)

„პლზენი“ (ჩეხეთი) - „შახტარი“ (უკრაინა)

„ჩერნომორეცი“ (უკრაინა) - „ლიონი“ (საფრანგეთი)

„ლაციო“ (იტალია) - „ლუდოგორეცი“ (ბულგარეთი)

„ესბერგი „ (დანია) - „ფიორენტინა“ (იტალია)

„აიაქსი“ (ჰოლანდია) - „ზალცბურგი“ (ავსტრია)

„მაკაბი“ (თელ-ავივი) - „ბაზელი“ (შვეიცარია)

„პორტუ“ (პორტუგალია) - „აინტრახტი“ (გერმანია)

„ანჟი“ (რუსეთი) - „გენკი“ (ბელგია)

„დინამო“ (უკრაინა) - „ვალენსია“ (ესპანეთი)

პაოკ (საბერძნეთი) - „ბენფიკა“ (პორტუგალია)

„ლიბერეცი“ (ჩეხეთი) - „ალკმაარი“ (ჰოლანდია)

1/8-ფინალი:

„ლიბერეცი“/“ალკმაარი“ - „ანჟი“/“გენკი

„ლაციო“/“ლუდოგორეცი“ - „დინამო“/“ვალენსია“

„პორტუ“/“აინტრახტი“ - „სუონსი“/“ნაპოლი“

„ჩერნომორეცი“/“ლიონი“ - „პლზენი“/“შახტარი“

„მარიბორი“/“სევილია“ - „ბეტისი“/“რუბინი“

„მაკაბი“/“ბაზელი“ - „აიაქსი“/“ზალცბურგი“

„დნიპრო“/“ტოტენჰემი“ - პაოკ/“ბენფიკა“

„იუვენტუსი“/“ტრაბზონსფორი“ - „ესბერგი“/“ფიორენტინა“

...1/16 ფინალში გუნდები 20 და 27 თებერვალს დაუპირისპირდებიან, 1/8 ფინალში კი - 13 და 20 მარტს.

ევროპის ლიგის შემთხვევაში მეოთხედფინალების კენჭისყრა 21 მარტს ჩატარდება, მატჩები კი - 3 და 10 აპრილს. ნახევარფინალური წყვილები 11 აპრილს გამოვლინდება, საუკეთესო კი - 24 აპრილსა და 1 მაისს.

ევროპალიგის ჯგუფური ეტაპიდან ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს 24 კლუბი, რომელთაც 8 კლუბი ჩემპიონთა ლიგიდან დაემატა (მათ ჯგუფურ ეტაპზე მესამე ადგილები დაიკავეს).

ევროპალიგის ფინალს 14 მაისს იტალიის ქალაქი ტურინი, იუვენტუსის კუთვნილი იუვეარენა უმასპინძლებს.